მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

იანვარი
ტევეთი
№1 (449)
(5779)
2019

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

დღეს ნომერშია:

რევაზ გაჩეჩილაძე — მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

ისრაელის ქნესეთმა მარიხუანის მოყვანის საკითხი გადაწყვიტა — ქვეყანა ექვს თვეში მილიარდიან მოგებას ელოდება;

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ისრაელმა იუნესკოს ზურგი აქციეს;

მიხეილ მირილაშვილი მოლდოვას პრეზიდენტს ხვდება — გვ.2

„მენორას“ სტუმარია მოსკოვის ქართველ ებრაელთა რელიგიური ლიდერი აბრამ ელაშვილი — გვ.3



დიდი მეცნიერი ნიკოლაი ბერდიაევი

ქრისტიანობასა და ანტისემიტიზმზე — გვ.4

„მენორას“ მკითხველი ქართულ-ებრაული ურთიერთობისათვის უკადრის ანტისემიტურ პუბლიკაციასაც კი უნდა იცნობდეს — გვ.5-6

მოგილოცავთ ბეშალახს! — გვ.7

რუბენ კაჟილოტის დაბადების 70 წლისთავი. ფოტორეპორტაჟი — გვ.7

თანამედროვე ისრაელის კლასიკოსი მწერლის-- ამოს ოზის ხსოვნას — გვ.8

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციას

ყმაწვილობის წლებიდან ვარ დაკავშირებული „ლიტერატურულ საქართველოსთან“. ჯერ უზენაესს, მერე კი დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებას — იოსებ ნონეშვილს ვუმადლი, ამ გაზეთში სამუშაოდ რომ მივედი — აქ დავიწყე სამსახური, როგორც ლიტერატურულმა მუშაკმა. ნახევარი საუკუნეა ამ გაზეთის ფურცლებზე ვიბეჭდები. ადრინდელისა ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ გიორგი ნატროშვილიდან მოყოლებული აგერ, თამაზ წივწივაძის რედაქტორობის ჩათვლით, გაზეთი მეტნაკლები წარმატებით იდგა ქართული სულიერების სამსახურში.

დღეს, როდესაც ამ გაზეთში იბეჭდება თითიდან გამოწოვილი ებრაელობისადმი ბრალდებებით აღვსილი სტატია, ბრალს გვდებენ „მსოფლიოში ახალი წესრიგის დამყარებასა“ და მისგან გამომდინარე საქართველოს (არა მხოლოდ საქართველოს, მთელი მსოფლიოს, მაგრამ ჩემთვის განსაკუთრებით მტკივნეული საქართველოს ყოფაა), თავსდატეხილ უბედურებაში („ლიტერატურული საქართველო.“ №42,16. XI, №46, 14. XII), მე, დიდი ქართული ლიტერატურის ჰუმანისტურ იდეალებზე აღზრდილი ებრაული წარმოშობის ქართველი მწერალი, თავს ვერ მივცემ უფლებას, ვიბეჭდებოდე მის ფურცლებზე. ერთ, ებრაელთა გამკილავ პუბლიკაციაზე („ლიტერატურული საქართველო“ №42, 16.XI) თავშეკავებული მოსაზრება გადმოგიგზავნეთ, მაგრამ აღარ მაქვს სურვილი იგი დღევანდელ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდოს. „ლიტერატურულ საქართველოსთან“ კავშირის განყვეტა განსაკუთრებით გადამაწყვეტინა 46-ე ნომერში დაბეჭდილმა ანტისემიტურმა სტატიამ (რომლის ავტორიც ამგვარ ქმედებაში ამავე გაზეთის ფურცლებზე ადრეც ვამხილე), ყველაფერმა ამან დამარწმუნა: გაზეთმა გეზი იცვალა — უცებ დაეტყო რედაქტორისა და მწერლის წასვლა — იმ ცხონებულს რომ ამ გზით ევლო, ის თამაზ წივწივაძე ვერ გახდებოდა, რომელმაც საერთო სიყვარული მოიპოვა. ნუ გგონიათ, ამგვარი ავტორები თამაზს არ აწუხებდნენ, მაგრამ იგი ქართულ სულიერებას ძლიერ უფრთხილდებოდა.

„ლიტერატურულ საქართველოსთან“ თანამშრომლობას გავაგრძელებ მაშინ, როცა ეს გაზეთი მწერლობას დაუბრუნდება — რედაქტორად კი ვიხილავთ ქართული ლიტერატურის სულისკვეთებით აღზრდილ, წინდახედულ პიროვნებას, მწერალს. იმედს გამოვთქვამ, ეს დრო არ დააყოვნებს!

ხელისუფლების საყურადღებოდ უნდა დავსძინო: ვერ გაამართლებს იმის თქმა, რომ პრესა თავისუფალია და მის საქმიანობაში არ ვერევითო. „ლიტერატურული საქართველო“ მხოლოდ პრესა არ არის — იგი დიდი ქართული კულტურის ნაწილია. კულტურას კი მოვლა უნდა!

გურამ გათიაშვილი
18.XII.18

P.S. საკითხის სიცხადისათვის იხილეთ მე-5-6 გვერდები.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

რევაზ გაჩეჩილაძე — მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

გასული წლის დასასრულს, 26 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საერთო კრება. საერთო კრების მთავარი ამოცანა გახლდათ აკადემიის ნამდვილი წევრების (აკადემიკოსების) არჩევა. აკადემიკოსებად არჩეულნი იქნენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის გამოჩენილი წარმომადგენლები.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილებაში საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად — აკადემიკოსად არჩეული იქნა რევაზ გაჩეჩილაძე.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი რევაზ გაჩეჩილაძე გახლდათ საქართველოს პირველი ელჩი ისრაელში. აქ იგი ეწეოდა ნაყოფიერ მუშაობას ორი სახელმწიფოს — საქართველოსა და ისრაელის დაახლოების საქმეში.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია, თავის მკითხველთან ერთად, გულითადად ულოცავს ჩვენს დიდ მეგობარს ბატონ რევაზ გაჩეჩილაძეს მეცნიერების სარბიელზე ამ დიდ გამარჯვებას.

აშშ და ისრაელმა იუნესკო დატოვეს

2017 წლის 12 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ ისრაელისადმი წინასწარგანზრახული ნეგატიური დამოკიდებულების გამო გამოდის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დეპარტამენტის — იუნესკოს შემადგენლობიდან.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ ამ გადაწყვეტილების გამო აშშ-ს ქება შეასხა და თავადაც მყისვე გასცა განკარგულება დაეწყოთ იუნესკოს დატოვების იურიდიული პროცედურა. დადგა თუ არა 2019 წელი, ისრაელმა 1იანვარსავე ოფიციალურად დატოვა იუნესკო.

იუნესკოში ისრაელის წარმომადგენელმა დანი დანონმა ინგლისურენოვანი თიმეს ოფ ისრაელ-თან საუბრისას განაცხადა:

— ისრაელის მიერ იუნესკოს დატოვება განპირობებული გახლავთ იმით, რომ ისრაელს არა აქვს სურვილი იმყოს იმ ორგანიზაციათა შორის, რომლებიც წინასაწარგანზრახულად ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებენ.

დანი დანონის აზრით, იუნესკო პოლიტიზირებული ორგანიზაცია გახლავთ.

— იუნესკო გახლავთ ორგანიზაცია, რომელიც სისტემატურად ცდილობს ისტორიის ჩასწორებას — წაშალოს ებრაელთა კავშირი მის დედაქალაქ იერუსალიმთან.

შეხვედრა მოლდოვას პრეზიდენტთან

დეკემბერში ისრაელში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მოლდოვას პრეზიდენტი იგორ დოდონი. აქ იგი შეხვდა ისრაელის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს, პრეზიდენტ რეუვენ რივლინს, პარლამენტის თავმჯდომარეს იული ედელშტეინს, რის შემდეგაც შეხვდა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტს — მიხეილ მირილაშვილს. შეხვედრაზე განხილული იქნა ანტისემიტიზმთან ბრძოლის, მოლდოვას სკოლებში ებრაელთა ისტორიისა და ჰოლოკოსტის შესწავლის საკითხები. შეხვედრაზე განიხილეს მოლდაველი ებრაელების როლი ისრაელ-მოლდოვას ურთიერთობის განვითარების საქმეში.

მიხ. მირილაშვილმა იგორ დოდონის წინაშე დასვა ისრაელში მოლდოვას საელჩოს თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანის საკითხი. მოლდოვას პრეზიდენტმა მიხ. მირილაშვილს აღუქვა, რომ მისი მთავრობა დაკვირვებით შეისწავლის ამ საკითხს. მიხ.მირილაშვილმა მადლობა გადაუხადა მოლდოვას პრეზიდენტს იმის გამო, რომ მისი ხელისუფლება თანმიმდევრულად იბრძვის ანტიისრაელური რიტორიკისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ და იმის გამოც, რომ მოლდოვა საერთაშორისო არენაზე ისრაელის მხარდამჭერად გვევლინება.

ყოფილი მინისტრი — ირანის ჯაშუში

1995-96 წლებში ისრაელის ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა და სამხედრო-პოლიტიკური საბჭოს წევრმა გონენ სეგევმა აღიარა, რომ ისრაელის დაუძინებელი მტრის — ირანის სასარგებლოდ ჯაშუშობას ეწეოდა და მტერს ინფორმაციას გადასცემდა. გონენ სეგევმა ეს აღიარება პროკურასთან შეთანხმებით გააკეთა. შეთანხმების პირობების თანახმად, ბრალდებულს 11 წლის პატიმრობას მიუსჯიან, თუმცა, საბოლოო ვერდიქტს სასამართლო გამოიტანს. სასამართლო თებერვალში გაიმართება.

გონენ სეგევს ადრეც ჰქონია პრობლემები სამართალთან — 2003 წ.საკრედიტო ბარათებით მანიპულაციის გამო ერთი წლით პირობითი სასჯელი მიიღო, ერთი წლის შემდეგ კი დიპლომატიურ პასპორტში თარიღები გადაეკეთებინა და ნიდერლადებიდან ისრაელში 30 ათასი ექსტაზი შეჰქონდა.

ბინიამინ ნეთანიაჰუ ღელავს?

როგორც ცნობილია, ისრაელის ქნესეთი (პარლამენტი) დათხოვნილი იქნა. ახალი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 9 აპრილს გაიმართება. პარტია „ლიკუდის“ მეთაურისა და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ბინიამინ ნეთანიაჰუს წინააღმდეგ კი მიმდინარეობს გამოძიება ბინიამინ ნეთანიაჰუს (არა მხოლოდ მას — მის მეუღლე სარა ნეთანიაჰუსაც), ბრალი ედება კორუფციაში. ნეთანიაჰუ შიშობს, რომ სასამართლო პროცესი მემარცხენე ძალების ზეწოლით, სწორედ არჩევნების წინ გაიმართება, რაც ცხადია, გავლენას მოახდენს მისი პარტიის რეიტინგზე, რომელიც ლიდერობს. ამასთან დაკავშირებით 5 იანვრის საღამოს ნეთანიაჰუმ განაცხადა:

— არ შეიძლება სასამართლო მოსმენა და განხილვა დაიწყოს არჩევნებამდე, თუ იგი არჩევნებამდევე არ დამთავრდება!

ამ განცხადებას პრემიერ-მინისტრმა ასეთი იგავი მოაყოლა:

— აღმოსავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ქუჩაში ცალხელა კაცი მიდის — ნაცვლად ხელისა, პროთეზი ჰკიდია. ეკითხებიან: რა მოხდა, ხელი რატომ მოგაჭრესო, იგი პასუხობს: „პირველი ინსტანციის სასამართლომ ქურდობაში დამნაშავედ მცნო და ხელი მომაჭრეს“ „მერე რა მოხდა?:“ „სააპელაციო სასამართლოში გამამართლეს.“ იმ კაცს ხელს ვინ დაუბრუნებს? სასამართლო პროცესი არჩევნებამდე რომ გაიმართოს, ხელახლა არჩევნებს ხომ არ დანიშნავენ? არ შეიძლება ჩემს წინაშე წამოყენებული ბრალდებების სასამართლო განხილვა დაიწყოს არჩევნების წინ, თუ მას არჩევნებამდე არ დაამთავრებენ.

უკიდურესად მემარცხენე პარტია „მერეცის“ ლიდერმა თამარ ზანდბერმა ნეთანიაჰუს ამ განცხადებას ასეთი კომენტარი გაუკეთა:

— დამშვიდდი, ნეთანიაჰუ, არავინ აპირებს ხელი მოგაჭრას — ქრთამის აღებისათვის, უბრალოდ ციხეში სვამენ.

პარტია „ეშ ათიდის “ ლიდერმა იაირ ლაპიდმა კი განაცხადა:

— თუ ვინმეს სასამართლო პროცესი ემუქრება, არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს!

ისრაელი მარიხუანას დიდი ექსპორტიორი ხდება

დასასრულს მიუახლოვდა დიდი ეპოპეა — ისრაელის გადაწყვეტილება, მსოფლიო ბაზარზე გახდეს სამედიცინო მარიხუანას დიდი ექსპორტიორი. ცოტაც და, სამედიცინო მარიხუანას ექსპორტით ისრაელი შეძლებს წელიწადში ერთი მილიარდი დოლარი იხეიროს.

უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ სამედიცინო მარიხუანა საუკეთესო საექსპორტო საშუალებაა. მარიხუანის მოყვანისათვის ისრაელის კლიმატი სწორედ რომ საუკეთესოა.

2018 წლის გაზაფხულზე ყველაფერი მზად იყო იმისათვის, რომ ეს პროგრამა ამოქმედებულიყო: 300 ფერმერმა ლიცენზია იყიდა. ფინანსთა სამინისტროდან დაწყებული ჯანმრთელობის სამინისტროსა, თუ შინაგანი უსაფრთხოების სამინისტროთი დამთავრებული, ყველა უწყება მზად გახლდათ ამ პროგრამის ასამოქმედებლად — მხარს უჭერდნენ სამედიცინო მარიხუანის ექსპორტს — ისრაელის მსოფლიო მასშტაბის ექსპორტიორად ქცევას და აქედან გამომდინარე, დიდი შემოსავლის მიღებას ნათელ ფერებში წარმოადგენდნენ, მაგრამ პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ, ისე რომ უარის მიზეზი არც გამოუცხადებია, ეს საყოველთაოდ მხარდაჭერილი პროგრამა შეაჩერა და ახალი კომისიის შექმნა მოითხოვა. კომისიას საკითხის კიდევ ერთხელ შესწავლა დაევალა.

როგორც ცნობილია, ისრაელის ქნესეთი დაიშალა და ახალი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა — იგი 2019 წლის 9 აპრილს გაიმართება. თუმცაღა, აწ უკვე დაშლილმა ქნესეთმა მარიხუანას ექსპორტის მოყვანის საკითხი თავისი არსებობის ბოლო დღეს მაინც განიხილა და დაამტკიცა კიდეც — ასე რომ, უდაბნოში მარიხუანას პლანტაცია აბიბინდება.

ქნესეთის დადგენილება მინისტრთა კაბინეტმა უნდა დაამტკიცოს — შესაძლოა, ისრაელი კანადისა და ნიდერლანდების შემდეგ, სულ რაღაც ექვს თვეში, მსოფლიოს მესამე სახელმწიფო გახდეს, რომელიც სამედიცინო მიზნებისათვის სხვადასხვა ქვეყანას მარიხუანას მიაწვდის.

აბრამ ელაშვილი:

ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ თანადგომისა და ხელშეწყობის მოწმენი ვართ.

მოსკოვი თვალისმომჭრელი თოვლითა და საახალწლო სამოსით მორთულიყო. გაზეთ „მენორას“ მკითხველთა და რედაქციის სურვილით, ხახამ აბრამ ელაშვილთან შეხვედრას ვეშურებოდი და ვფიქრობდი, თუ როგორ წარიმართებოდა საუბარი დღემდე ჩემთვის უცნობ სასულიერო პირთან.

ბატონ აბრამს მოსკოვის ე.წ. „მარინა როშჩას“ სინაგოგაში შევხვდი. ძველი სალოცავის გვერდით ახალი, თანამედროვე შენობაა წამოჭიმული, რომელშიც ებრაული კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრია განთავსებული. ხახამ აბრამმა შემომთავაზა ფინჯან ყავაზე დავწვეოდი და ისე გვესაუბრა. ფინჯანმა ყავამ ოფიციალური ურთიერთობა შეცვალა — საუბრის ტონი და ატმოსფეროც უშუალო, თითქმის შინაურული გახადა და რამდენიმე წუთში დავრწმუნდი, რომ საინტერესო რესპოდენტთან მქონდა საქმე.

ლია კრიხელი. ბატონო აბრამ, თქვენ მოსკოვში თავმოყრილი საქართველოს ებრაელთა რელიგიური ლიდერი ბრძანდებით. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მოღვაწეობის სტილით და თემის პრობლემების გაზიარებით, ჯამაათის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ. რამდენი წელია მოსკოვში მოღვაწეობთ და რამ განაპირობა თქვენი ჩამოსვლა?

აბრამ ელაშვილი. ჩვენი ოჯახი ისრაელში რომ ამოვიდა, შვიდი წლის ვიყავი. მიმაბარეს „ხაბადის“ სასწავლებელში, სადაც 8 წელი ვსწავლობდი. გარდა რელიგიური განათლებისა, აქ ზოგად-საგანმათლებლო საგნებიც მაღალ დონეზე ისწავლებოდა. ჩვენი ოჯახის ტრადიციებმა და იქ შეძენილმა ცოდნამ განაპირობა ის, რომ ებრაელი ერის თავიდათავი ფასეულობა — თორა, მისი უზარმაზარი მემკვიდრეობა, ამ მემკვიდრეობაში უფრო და უფრო ღრმად წვდომის სურვილი გახდა ჩემი ცხოვრების მთავარი და ცენტრალური იდეა. და აი, მოხდა ისე, რომ რუსეთის მთავარი რაბინის — თვით ბატონი ბერლ ლაზარისაგან წამოვიდა ინიციატივა სათავეში ჩავდგომოდი მრავალმილიონიანი მოსკოვის საქართველოს ებრაელთა თემს. ცხადია, საკითხი დაფიქრებას, განსჯას მოითხოვდა, მაგრამ მე თუ ვორჭოფობდი და ვმერყეობდი, დამეტოვებინა თუ არა, ისრაელი, სამსახური და შეჩვეული ყოფა, საბოლოო გადაწყვეტილება ბიძაჩემის, ნეტარხსენებული რაბი რაფაელ ელაშვილის აზრი გახდა: „შენი მიწვევა შემთხვევითობა არ არის — ეს საპატიო მისიაა და უნდა შეასრულო!“

ლ. კ. ისრაელშიც სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდით?

ა. ე. სკოლის შემდეგ ჯარში ვიმსახურე — საჰაერო თავდაცვის ქვეგანაყოფში. თვითმფრინავი და პარაშუტი ჩემი სტიქია გახდა, მაგრამ როცა დავოჯახდი, პროფილი შევიცვალე. ერთი პერიოდი საავიაციო წარმოებაში ვმუშაობდი, შემდეგ კერძო ბიზნესს მივყავი ხელი. ჩემი მეუღლე ფნინა (მარინა) ოჯახის ნამდვილი ბურჯია. გვყავს სამი დაოჯახებული შვილი. უფროსი ვაჟი — გაბრიელი დიზაინის ბიზნესშია ჩართული, შუათანა — იოსეფი ბანკ „მიზრახის“ წამყვანი მუშაკია, ხოლო ქალიშვილი — სარა „ელ–ალის“ საავიაციო წარმოების „აეროპორტ სიტის“ წარჩინებული თანამშრომელია.

1997 წელს მთელი ოჯახით ჩამოვედი მოსკოვში, მაგრამ მეუღლე და ბავშვები სამშობლოში დაბრუნდნენ. მე კი, გრძელვადიან მივლინებაში ვიმყოფები და თვეში ერთ კვირას ისრაელში ვატარებ.

ლ. კ. აქაური ჯამაათი რამდენ ქართველ ებრაელს მოითვლის?

ა.ე. ზუსტ ციფრს ვერ მოგახსენებთ — ალბათ, არც არსებობს, მაგრამ ჩემი მონაცემებით, და პრაქტიკიდან გამომდინარე, დაახლოებით 1200 ოჯახია. უნდა დავსძინო, რომ არა მარტო მოსკოვში მიწევს ჯამაათის სამსახური, ხშირად სანკტ– პეტერბურგშიც მიწვევენ საქორწინო, ბარ–ბათ მიცვის, მეზუზების და „ხანუქათ ჰაბაითის“ რელიგიური რიტუალების ჩასატარებლად.

ლ. კ. როგორ ფიქრობთ, ამ ხსენებული 1200 ოჯახიდან, რამდენი პროცენტია ისეთი, ეროვნული, რელიგიური ტრადიციების შენარჩუნება, ბეით–ქნესეთის არსებობა რომ აღელვებს და მის ცხოვრებაშიც მონაწილეობს?

ა. ე. მე ვიტყოდი, 90% ანხორციელებს ებრაულ ტრადიციებს და საქართველოს ებარელობისათვის დამახასიათებელ განსხვავებულ წესჩვეულებებს.

ლ.კ. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით?

ა.ე. უფრო კონკრეტულად: ამ მოსახლეობის 90% ესწრება სადღესასწაულო ლოცვებს. ამათგან დიდი ნაწილი, სწორედ ასეა: არა მცირედი, დიდი ნაწილი, იცავს ქაშრუთსა და შაბათს.

ლ. კ. ძალიან სასიამოვნო ინფორმაციაა. იქნებ, იმაზეც თქვათ ორიოდ სიტყვა,მოსკოვის ჩვენი თემის წარმომადგენლებში რა ტენდენციები სჭარბობს?

ა.ე. როგორც მოგახსენეთ, მთავარი ის გახლავთ, რომ ტრადიციების დაცვა სავალდებულოდ მიაჩნიათ. სამწუხაროდ, ერთი მთლიანი ცენტრი, ან სალოცავი არ გაგვაჩნია. ამიტომ ჩვენი თემის შვილებს შაბათსა და დღესასწაულებზე სხვადასხვა ბეით ქნესეთებში უწევთ ლოცვა. ამას აქაური მანძილებიც განაპირობებს — დიდი, უზარმაზარი ქალაქია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ბატონ თემურ ხიხინაშვილის სახლში აშენებული სალოცავი „იცხაკის კარავი“, რომელიც 60-70 ადამიანს იტევს. იგი მერაბ და გია ელაშვილების, აგრეთვე რომან შამელაშვილის მიერაა შექმნილი. ეს ზემოხსენებული პირები დიდი ქველმოქმედებით გამოირჩევიან. ამას გარდა, კვირაში ერთხელ 5– დან 13 წლამდე ბავშვებს ვამეცადინებ და ვაზიარებ თორის უმთავრეს მცნებებს. მამაკაცების ჯგუფიც არის ჩამოყალიბებული და 20–მდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცი ესწრება თორის გაკვეთილებს. რაც შეეხება ქალების ჯგუფს, მათთან შეხვედრა „როშ ხოდეშის“ — ახალმთვარობის დღეს აღნიშვნას უკავშირდება.

ლ. კ. ეს მეცადინეობები ფასიანია, თუ ნებაყოფლობით ატარებთ?

ა. ე. რას ბრძანებთ, ეს ჩემი პრიდაპირი მოვალეობა და მისიაა! დიდი მიცვაა ამგვარი საქმიანობა. გულიც კი მტკივა რომ „დივრეი თორის“ უფრო მასობრივი გავრცელების საშუალება არ მაქვს. წვეულებებზე ეს შეუძლებელია, მაგრამ „შაბათ ხათანის“ ჩატარებისას, არცერთ შესაძლებლობას არ გამოვტოვებ, რომ ადამიანებს არ ვუამბო ჩვენი მცნებების თაობაზე. და ვხედავ, როგორ ინტერესს იჩენენ! სამგლოვიარო რიტულების ჩატარების მსურველები თუ მიკავშირდებიან და კონსულტაციას მთხოვენ, ვეუბნები „შენ შაბათი დაიცავი, ოღონდ სახლიდან ნუ გამოხვალ, ტრანსპორტში ნუ ჩაჯდები და შენი მიცვალებულის სულს მე მოვიხსენიებ — „კადიშს“ მე წავუკითხავ-მეთქი“ მჯერა, რომ ისინი ერთ შაბათს მაინც დაიცავენ.

ვერც გავამტყუნებ: საბჭოთა რეჟიმმა რწმენაზე ისეთი უარყოფითი გავლენა იქონია, რომ ათწლეულები დასჭირდება მდგომარეობის გამოსწორებას. მადლობა გამჩენს, თვითგამორკვევის პროცესი ნორმალურად მიდის.

ლ. კ. ამ ქვეყანაში ისტორიულად ანტისემიტური სულისკვეთების გამო, რუსეთის ებრაელობას არაერთი ტრაგიკული წუთი განუცდია. როგორ დაახასიათებდით დღევანდელ მდგომარეობას. და კიდევ, როგორია ქართველი ებრაელობისადმი დამოკიდებულება?

ა. ე. ჩვენი სულიერი მოძღვრის, ბერლ ლაზარის დიდი დამსახურებაა, რომ მთავრობაცა და ხალხიც სხვაგვარადაა განწყობილი. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არანაირი ანტისემიტურ გამოხტომებს ადგილი არა აქვს. მითუმეტეს, ევროპის ქალაქების ფონზე. რაც შეეხება ქართველ ებრაელებს, აშქენაზებთან თუ ბუხარელ ებრაელებთან მხოლოდ მეგობრული და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იგრძნობა. მეტსაც გეტყვით: სახლიდან, შაბათისთვის სპეციალურად მორთული რომ გამოვდივარ, ქრისტიანი მეზობლებიც „შაბათ შალომს“ მისურვებენ და ეს მხოლოდ მისასალმებელია.

ლ. კ. სოციალური ქსელები იუწყებიან, რომ რუსეთში „ხაბადის“ არსებობა არ მოსწონთ, ასეა?

ა.ე. „ხაბადის“ მიმდევრების რაოდენობა აქაც ისევე იზრდება, როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. არიან ამის მოწინააღმდეგები, მაგრამ ისინი თავის უსუსურობას უფრო განიცდიან, ვიდრე რაიმე გავლენა აქვთ.

ლ. კ. ბატონო აბრამ, გუშინდელი ქართველი ებრაელები რუსი ებრაელები ხომ არ ხდებიან?

ა.ე. უფროსი ასაკის ადამიანები მტკიცედ ინარჩუნებენ თავიანთ ფესვებს. ახალგაზრდობის ნაწილი თავის თავს აღარ მიაკუთვნებს ჩვენს თემს და ამას მტკივნეულად განვიცდი. იმასაც დავამატებ, რომ ღმერთს მადლობას შევწირავ, თუ ასიმილაციის შემთხვევებს აგვაცდენს ის კურთხეული.

ლ. კ. გარდა მოსკოვისა და სანკტ პეტერბურგისა, ქართველი ებრაელები რუსეთის სხვა ქალაქებშიც გახლავან გაფანტულნი. ისინი როგორ ახერხებენ ეროვნულ-რელიგიური ტრადიციის დაცვა-შენარჩუნებას!

ა. ე. მერწმუნეთ, ადრე რომელ კუთხეშიც კი იყო სალოცავები, ყველა აღადგინეს, ისინი მოვლილი და კარგად დაცული გახლავან. იქაური თავკაცები, ან სასულიერო პირები სპეციალურადაც ჩამოდიან ხოლმე: ზოგჯერ მათ ჩემი რჩევა, ან კონსულტაცია სჭირდებათ, მეც ჩემი მხრივ, ვეხმარები, თუ კი რამე შემიძლია.

ლ. კ. რა არის მთავარი, რომ მასწავლებელმა, თუ მოძღვარმა დღევანდელი თავისუფლად აღზრდილი მოზარდები მოიზიდოს?

ა. ე. შეიძლება ვინმე არ დამეთანხმოს, მაგრამ დღევანდელი მეთოდები მკვეთრად განსხვავდება ჩვენი თაობისთვის ცნობილი და მიღებული ხერხებისგან. ჩემი ღრმა რწმენით, მოზარდები მხოლოდ უნდა დავაინტერესოთ. არავითარი ძალდატანება, ეს უფრო დააფრთხობს მათ და მეტად დაგვაშორებს. ჯერ ძალზე პატარა რაიმე გააკეთოს, მერე წაკითხულს, შესწავლილს თავად გააანალიზებს და ადვილი შესაძლებელია, სწავლას ძლიერ დაეწაფოს კიდეც.

ლ. კ. ვიცით, რომ ნეტარხსენებული ხახამ რაფაელ ელაშვილის აღზრდილი ხართ, როგორ გაიხსენებდით მას?

ა.ე. ასეთი დიდი პროვნების დახასიათება ორიოდე სიტყვით შეუძლებელია. იგი არა მარტო ჩემთვის, მრავალი ადამიანისთვის ბრძანდებოდა სამაგალითო თავისი განსწავლულობით, მდიდარი ბუნებით, ერისა და ქვეყნის სიყვარულით. მისი ბაგე მხოლოდ თორის ჭეშმარიტებას კი არ ღაღდებდა, პირადი მაგალითით ადასტურებდა მცნებათა სიბრძნეს. დღეისათვის ნაკლებად მოიძებნება მისი მსგავსი ადამიანი. მის დათესილ სიკეთეს, თაობები იმკიან.

ლ. კ. უღრმესი მადლობა ჯანმრთელობასა და უამრავ სიკეთეს გისურვებთ. გაუძეხით მრევლს და იხარეთ მისი კეთილდღეობით!

ა. ე. მადლობა თქვენ, რომ ამდენი დრო დამითმეთ.

ლია კრიხელი

ქრისტიანობა და ანტისემიტიზმი

(ებრაელთა რელიგიური ბედი)

ნიკოლაი ბერდიაევი



ჩაუწვდომელი, რაციონალურად აუხნელია ამ ერის გადარჩენის საკითხი. ჩვეულებრივი ისტორიული ახსნის თვალსაზრისით, ებრაელ ხალხს არსებობა უნდა შეეწყვიტა. ამ ერის მაგვარ ისტორიულ ბედს ქვეყნიერების ვერცერთი ერი ვერ გაუძლებდა. ებრაელი ხალხი უმეტესწილად ისტორიული ერია. თავად ისტორიზმის კატეგორია კაცობრიობის შემეცნების ისტორიაში, სწორედ მან შეიტანა. ისტორია კი ამ ერის მიმართ დაუნდობელი გამოდგა. ეს იყო დევნისა და ელემენტარული ადამიანური უფლებების წართმევის ისტორია. და დიდი ხნის განმავლობაში, რომელიც თავისთავადობის შესანარჩუნებლად ძალთა დიდ დაძაბვას ითხოვდა, ამ ერმა შეინარჩუნა თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახე. სხვა ერთა შორის განდევნილობაში ამ სახეს ყველა სცნობს. სცნობს და მეტწილად სძულთ, წყევლა-კრულვით იხსენიებენ.

ქვეყნიერების ვერცერთი ერი ვერ გაუძლებდა ესრეთ ხანგრძლივ განდევნილობას, ალბათ, დაკარგავდა თავის სახეს და სხვა ხალხში გაითქვიფებოდა, მაგრამ ღვთისმიერი აუხსნელ-ჩაუწვდომელი გზებით, ამ ხალხმა დროთა გასრულებამდე თავი უნდა შეინახოს.

არსებობს ებრაელთა აზრი საკუთარ თავზე, რომელიც გამაღიზიანებელია, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ამ მოსაზრების ახსნა შესაძლებელია: ებრაელობა სხვა ხალხების მიერ დამცირებული გახლდათ და იგი რჩეულ, დიდი მისიის მატარებელ ერად თავის მიჩნევით, სიძულვილის კომპენსაციას ახდენს. ებრაელობა პოლარულად დაპირისპირებული, ურთიერთგამომრიცხავი თვისებების მატარებელი ერი გახლავთ. ამ ხალხში მაღალ თვისებებს მდაბალი თვისებები ერწყმის: სოციალური თანასწორობის წყურვილი და მომხვეჭელობისაკენ სწრაფვა, მაგრამ ყოველ ერზე უნდა ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რა მწვერვალებს მიაღწია და არა მისი მდაბალი თვისებებით. ებრაელობაზე, რელიგიური მოწოდების ხალხზე, მათი წინასწარმეტყველებითა და მოციქულებით უნდა ვიმსჯელოთ და არა მევახშეებით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ერებთან მიმართებაში გააჩნდეს თავისი სიმპატიები და ანტიპატიები, მაგრამ მთელი ერის სიძულვილი — არის ცოდვა, ეს სიძულვილი ბადალია კაცთაკვლისა და მძულვარე ადამიანმა პასუხი უნდა აგოს.

ჩვენ ცხოვრება გვიხდება, მხეცთათვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის, უხეში ძალის კულტად ქცევის, კერპთაყვანისმცემლობისაკენ ნამდვილად მიბრუნების ეპოქაში.

უჩვეულოდ პარადოქსულია ებრაელთა ბედი: მათ თან სდევთ მიწიერი სამეფოს ცხოველი ძიება და განდევნილობა — ერთობ უმნიშვნელო ერებისაგან განსხვავებით, მათ არა აქვთ საკუთარი სახელმწიფო, ახასიათებთ მესიანური, რჩეული ერობის შემეცნება და თან სდევთ სხვა ერების ზიზღი, შევიწროება, ჯვრის, როგორც ცთუნების, უარყოფა და მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში ჯვარზე გაკრულობა.

იქნებ, ყველაზე გამაოგნებებელი ის იყოს, რომ ჯვრის უარმყოფელი ერი, ჯვრის სიმძიმის ქვეშ მოექცა და მას ატარებს, ხოლო ისინი, ვინც ჯვარი მიიღო, ამ ჯვარზე ძალიან ხშირად აკრავდნენ სხვებს.

არსებობს ანტისემიტიზმის რამდენიმე ტიპი: ანტისემიტიზმის ამ სხვადასხვა სახეობას ძალუძს გაერთიანება და ერთიმეორის მხარდაჭერა. მე არ შევჩერდები იმ ემოციურ-ობივატელურ ანტისემიტიზმზე, რომელიც ანტისემიტურ მოძრაობაში არც თუ პატარა როლს თამაშობს, მაგრამ პრინციპული ინტერესის საგანი არ გახლავთ. სწორედ მასთან არის დაკავშირებული ებრაელობისადმი დაცინვა, ებრაელობის კომიკური სახით წარმოჩენა, მისადმი ზიზღიანი დამოკიდებულება, რომელთანაც არა და არ სურთ ადამიანური თანასწორობა. ამასთან, როგორც წესი, არა-რა იდეოლოგია არ გახლავთ დაკავშირებული.

ანტისემიტიზმის ნამდვილი იდეოლოგია ებრაელობისადმი მტრულად განწყობილი ყველაზე ფართოდ გავრცელებული რასობრივი ანტისემიტიზმია. რასიზმი არაადამიანურია — იგი უარყოფს ადამიანის ღირსებას, უარყოფს ადამიანის პიროვნულ ფასეულობებს და დასაშვებად მიიჩნევს, მისადმი როგორც მტრისადმი დამოკიდებულებას და მის მოსპობა-განადგურებას. რასიზმი მატერიალიზმის ყველაზე უხეში ფორმაა, უფრო უხეში, ვიდრე ეკონომიკური მატერიალიზმი. რასიზმი დეტერმინიზმის უკიდურესი ფორმა და სულის თავისუფლების უარყოფაა. ერთადერთი სერიოზული რასიზმი, რომელიც ისტორიის განმავლობაში არსებობდა და არსებობს ებრაელობის მიმართ გამოვლენილი რასიზმი გახლავთ.

როცა ადამიანები თავს უბედურად მიიჩნევენ და თავის პირად უბედურებას ისტორიულ უსამართლობას უკავშირებენ, ისინი იწყებენ ბრალეულის ძებნას, ეძებენ იმისთვის, რომ ყველაფერი — მთელი უბედურება მას გადააბრალონ. ეს თვისება ადამიანის ბუნებას ღირსეულად არ წარმოაჩენს, მაგრამ ადამიანი სიმშვიდეს გრძნობს და კმაყოფილებას განიცდის, როცა ბრალეული ნაპოვნია და შესაძლებელია იგი გძულდეს, საშუალება გეძლევა მასზე შური იძიო. არაფერია იმაზე იოლი, ვიდრე ის, რომ ადამიანები დაარწმუნო: ყველაფერში ბრალეულნი ებრაელები არიან. არის რაღაც დამამცირებელი იმაში, რომ ებრაელობისადმი შიშითა და სიძულვილით მოცულნი, მათ ძალიან ძლიერად მიიჩნევენ, საკუთარ თავს კი ერთობ უმწეოებად, რომელთაც არ ძალუძთ ებრაელობასთან თავისუფალი შერკინება.

ანტისემიტიზმის საფუძველი უნიჭობაა. როცა პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ეინშტეინი, რომელმაც ფარდოფითობის კანონი აღმოაჩინა, ებრაელია, რომ ფრეიდი ებრაელია, ებრაელია ბერგსონი, ეს უნიჭობის პრეტენზიაა. ამაში არის რაღაც შესაბრალისი. მხოლოდ ერთი გზა არსებობს იმასთან საბრძოლველად, ებრაელობა დიდ როლს რომ თამაშობს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში: თავად მოგვეცით დიდი აღმოჩენები, გახდით დიდი მეცნიერები და ფილოსოფოსნი!

კულტურაში ებრაელთა სიჭარბესთან ბრძოლა კულტურის სარბიელზე მხოლოდ საკუთარი შემოქმედებით გახლავთ შესაძლებელი. ეს თავისუფალი სფეროა. თავისუფლება კი ძლიერების გამოცდაა. დამამცირებელია იმაზე ფიქრი, რომ თავისუფლება ყოველთვის კეთილსასურველი აღმოჩნდება ებრაელობისათვის და არაკეთილსასურველი არაებრაელთათვის.

აღმოჩნდა, რომ ებრაელებს ეკუთვნით მეცნიერული აღმოჩენები, იყვნენ ჩინებული ფილოსოფოსნი, შექმნეს კაპიტალისტური მრეწველობა და საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა, რომელიც სამართლიანობისა და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის იბრძვის. მათს ხელთ გახლავთ საზოგადოებრივი აზრი, მსოფლიოს პრესა და ა.შ.

შევჩერდები ებრაელთა მიერ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შექმნაზე. უწინარესად: თუ ეს არის ბრალდება, შეუძლებელია იგი ერთი პირისაგან მომდინარეობდეს. კაპიტალიზმის მომხრეთა მიხედვით, ებრაელთა მიერ კაპიტალიზმის შექმნა, მათი დამსახურებაა, ისევე, როგორც სოციალიზმის მომხრეთა მიერ სოციალიზმის შექმნა გახლავთ ებრაელთა დამსახურება. სადავო არ არის, რომ ებრაელები ამ პროცესში არცთუ მცირე როლს თამაშობდნენ, არც ის გახლავთ სადავო, რომ მათს ხელში დიდი კაპიტალი მოექცა. ამ საქმეში მათ ეწეოდა ისტორიის განმავლობაში შექმნილი ებრაელთა თვისებები:. შუა საუკუნეებში ებრაელები მევახშეობას მისდევდნენ, ეს იყო ერთადერთი საქმიანობა, რომელიც მათთვის ნებადართული გახლდათ. ებრაელმა ხალხმა შექმნა მევახშისა და ბანკირის ტიპი, მაგრამ მანვე შექმნა ტიპი იდეალისტისა, რომელიც უანგაროდ ერთგულებდა იდეას, შექმნა ტიპი მხოლოდ-დამხოლოდ მაღალი ინტერესებით მცხოვრები ღატაკისა.

გასაოცარია, რომ ებრაელი და სოციალისტი კარლ მარქსი გარკვეულწილად ანტისემიტი გახლდათ. ებრაული საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში, რომელიც ბევრს უხერხულობას გვრის, მან ებრაელობა მსოფლიოს კაპიტალისტური ექსპლოატაციის მატარებელ ერად წარმოგვიდგინა. სხვათა შორის, კარლ მარქსის რევოლუციური ანტისემიტიზმი აქარწყლებს ლეგენდას ებრაელობის მსოფლიო შეთქმულებისა. მარქსიც ებრაელია და როტშილდიც — ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ და ორივე ერთად ერთ შეთქმულებაში მონაწილეობას ვერაფრით ვერ მიიღებდა.

ებრაელების დამსახურება გახლავთ ის, რომ ისინი უფრო სამართლიანი სოციალური წყობისათვის ბრძოლაში მონაწილეოდნენ. ებრაელთა წინააღმდეგ მრავალ ბრალდებას აყენებენ, საბოლოო ჯამში ყველა ბრალდება ერთ მთავარ პრეტენზიაში იყრის თავს: ებრაელები მსოფლიოში ძლიერებას, სამყაროს ხელმწიფობას ესწრაფვიან.

ახლა კი მინდა გადავიდე რელიგიური ტიპის ანტისემიტიზმზე — ერთადერთი სახეობის ანტისემიტიზმზე, რომელიც განსჯას იმსახურებს — ეს გახლავთ რელიგიური ანტისემიტიზმი. ებრაელობისათვის ძალიან რთული გახლდათ ღვთის განკაცების იდეის მიღება, კერპთთაყვანისმცემლებისათვის ეს იოლად მისაღები აღმოჩნდა. ქრისტიანებმა თავისი რელიგია იმას დააფუძნეს, რომ ისტორიაში გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თავისი თავი ღმერთად, ღვთის შვილად გამოაცხადა. იუდაისტური შემეცნებისათვის ეს ღვთისგმობაა — შეუძლებელია ადამიანი იყოს ღმერთი, ადამიანი შესაძლოა იყოს ღვთის წინასწარმეტყველი, მესია, მაგრამ არ შეიძლება იყოს ღმერთი. კერპთაყვანისმცემლებს ჰყავდათ ბევრი ღმერთ-კაცი, ანუ კაცი-ღმერთი. კერპთაყვანისმცემელთა შემეცნებისათვის განკაცებული ღმერთის იდეის მიღება, არა-რა სირთულეს არ წარმოადგენდა — ეს ესადაგებოდა კიდეც კერპთთაყვანისმცემელთა მიერ სამყაროს ჭვრეტის შემოქმედებით ხატებას. ებრაელობისათვის კი ეს მკრეხელობა იყო. არავის ძალუძდა ღვთის სახის ხილვა. ღვთის სახის მნახველი, მოკვდინდებოდა კიდეც. და უცებ აცხადებენ, რომ ღმერთს ადამიანის სახე აქვს. ებრაელობისათვის ჯვარცმული ღმერთი დიდი საცდური გახლდათ. ღმერთი შეიძლება იყოს მხოლოდ დიადი და უძლიერესი. და აი, მთელი ქრისტიანული ისტორიის განმავლობაში, გაისმის ბრალდება: ებრაელებმა ჯვარს აცვეს ქრისტე. ამ დღიდან ებრაელი ხალხი დაწყევლილია და ეს მაშინ, როცა ქრისტე უწინარესად, ებრაელებმა აღიარეს. ვინ იყვნენ მოციქულნი? ებრაელები! პირველი ქრისტიანული თემი ებრაელთაგან შესდგებოდა. ებრაელებს ამის გამო რატომ არ მოიხსენიებენ ქებით?

ებრაელებმა ზებუნებრივად არ მიიღეს ქრისტიანობის ჭეშმარიტებანი, მაგრამ გახლდნენ მატარებელნი მიწიერი ჭეშმარიტებისა, ადამიანთა სოციალურ ყოფაში სიმართლისა. და მართლაც, ადამიანთა შემეცნებაში სოციალური სამართლიანობის იდეა ებრაელებმა შეიტანეს. ინდოეთში შეიქმნა რელიგიური შემეცნების მიერ სანქცირებული კასტური რეჟიმი, საბერძნეთში უდიდესი ფილოსოფოსნი მონობის გაკიცხვამდეც კი ვერ ამაღლდნენ. ადრინდელი საუკუნეების ებრაელი წინასწარმეტყველები კი პირველნი მოითხოვდნენ სიმართლეს და სამართლიანობას ადამიანთა სოციალურ ურთიერთობებში. ისინი იცავდნენ ღარიბთა და ჩაგრულთ.

ბიბლია გვიამბობს, რომ დროდადრო, პერიოდულად ტარდებოდა ქონების დაყოფა, რათა სიმდიდრე ერთი ჯგუფის ხელში არ მოქცეულიყო და მდიდართა და ღარიბთა შორის არ ყოფილიყო მკვეთრი განსხვავება. ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში. ებრაელობა ორი ნიშნით გახლავთ აღბეჭდილი — ფულისა და სოციალური სამართლიანობის ნიშნით.

შესაძლებელია თუ არა ებრაელთა საკითხის გადაწყვეტა ისტორიის განმავლობაში? ეს ტრაგიკული საკითხია და ვერ გადაწყდება უბრალო ასიმილაციის გზით, მაგრამ ჩვენ არაჰუმანურ საუკუნეში ვცხოვრობთ და ჩვენი დროის მოვლენები ნაკლებ გვაიმედებს, რომ ებრაული საკითხი შეიძლება გადაწყდეს ებრაელობის სხვებთან შეერთების — სხვა ხალხში შერწყმის გზით. ეს ებრაელი ხალხის გაქრობის ნიშანი იქნებოდა. არც ის გახლავთ დიდი იმედისმომცემი, რომ ებრაელთა საკითხი ამ ხალხის დამოუკიდებელი სახელმწიფოს, ე.ი სიონიზმის გამარჯვების გზით, გადაწყდება. ებრაელობა საკუთარ, უძველეს მიწაზეც კი დევნას განიცდის. ასეც რომ მოხდეს, საკითხის ასე გადაწყვეტა ებრაელი ხალხის მესიანურ შემეცნებას ეწინააღმდეგება. ებრაელობა გზებზე შემდგარ ერად რჩება.

იმის თქმაც შეიძლეოდა, რომ ებრაელი ხალხის ბედის გადაწყვეტა მხოლოდ დროთა სასრულის პერსპექტივაა.

სამყაროში ყოველთვის იყო და არის ორი რასა. რასების ასე დაყოფა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანარჩენი კლასიფიკაცია: არიან ჯვარზე გამკვრელნი და არიან ჯვარზე გაკრულნი, მჩაგვრელნი და ჩაგრულნი, მოძულენი და მოძულებულნი, მწამებელნი და წამებულნი, მდევნელნი და დევნილნი. მაგონდება საბჭოთა რუსეთში ჩემი ცხოვრების ბოლო წლები: კომუნისტური რევოლუცია რომ გაჩაღდა, იმ სახლის მეპატრონე, რომელშიც ვცხოვრობდი, შეხვედრისას მეუბნებოდა:

— რა უსამართლობაა — თქვენ არავინ მოგთხოვთ პასუხს იმის გამო, რომ ლენინი რუსია, მე კი პასუხს ვაგებ იმაზე, ტროცკი რომ ებრაელია.

1927 წელი.

მთარგმნელისაგან: გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლაი ბერდიაევი დაიბადა 1874 წლის 6 მარტს, კიევში. მოღვაწეობის პირველ ეტაპზე იყო მარქსის მიმდევარი, შემდგომ მარქსიზმს ზურგი აქცია და მისტიკოსი, რელიგიური ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა. აკრიტიკებდა მარქსიზმს.

1922 წ. ბოლშევიკურ რუსეთს გაეცალა. ჯერ გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ კი საფრანგეთში გადასახლდა. გახლდათ ოქტომბრის რევოლუციის თანმიმდევარი კრიტიკოსი, ქადაგებდა ანტიკომუნისტურ იდეოლოგიას.

წინამდებარე ნაშრომი გაცილებით ვრცელია, ყოვლისმომცველი — იგი ოთხი თავისაგან შესდგება. ჩვენ იგი შემცირებული — ამონარიდების სახით წარმოვიდგინეთ. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ქართულ ენაზე სრულად გამოცემა.

ნ. ბერდიაევი გარდაიცვალა 1948 წელს საფრანგეთში, ქ. კლამარში.

გ. ბ.

შეცდომის გასწორება

„მ“ წინა ნომერში, მე-8 გვერდზე ინფორმაციაში „დავით ბენ გურიონი“ პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს: „მწერალმა და დრამატურგმა გურამ ბათიაშვილმა გამომცემლობა „პალიტრა L“-ის დაკვეთით“ შემდეგ როგორც ტექსტშია.

ვინ არის მსოფლიოს ახალი, ანუ დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგისათვის?!

ამერიკის პრეზიდენტისადმი, ბ-ნ დონალდ ტრამპისადმი, ცნობილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დენიზა სუმბაძის მიერ მიწერილი ღია წერილი სათაურით „ჩვენ განვკურნავთ დედამიწას სნეულებათაგან“, წარმოადგენს ავტორისეული ხედვის ანალიტიკურ სურათს საქართველოში მიმდინარე პროცესებისას – მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში. წერილი ავტორის მიერ სამ ნაწილად არის წარმოდგენილი:

1) ვინ არის მსოფლიოს ახალი, დღევანდელი წესრიგის ავტორი და პასუხისმგებელი ამ წესრიგზე?!

2) რა შეიძლება ეწოდოს იმ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, რომელიც ჩვენ, ქართველმა ხალხმა მივიღეთ მსოფლიოს მიერ შემოთავაზებული ე. წ. მსოფლიოს ახალი წესრიგით?!

3) რატომ არის მსოფლიოს ახალი წესრიგის გაცნობიერების აუცილებლობა მსოფლიოს ისტორიის ჭრილში: „ბაბილონის ტყვეობიდან“ მე-20 საუკუნის შუახანებამდე – მეორე მსოფლიო ომამდე, მეორე მსოფლიო ომიდან ე. წ. „მსოფლიოს ახალ წესრიგამდე“ და „მსოფლიოს ახალი წესრიგიდან“ ბატონი დონალდ ტრამპის პრეზიდენტობამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ანუ საკითხი „მსოფლიოს ახალი, ებრაულ-სიონისტური წესრიგის“ მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის გადატრიალებისა თავად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ.

ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ღია წერილის პირველ ნაწილს:

დენიზა სუმბაძე

ბატონო პრეზიდენტო!

თქვენ ბრძანდებით დღეს პირველი პირი და წარმმართველი ისეთი ქვეყნისა, რომლის სახელმწიფოებრივი აზროვნება და პოლიტიკური კურსიც, პირდაპირ თუ ირიბად, გარკვეულ გავლენას ახდენს მთელი კაცობრიობის ცხოვრებაზე. უფრო მეტიც: თქვენ მობრძანდით აშშ-ის სახელმწიფო მმართველობის საჭესთან მთელი კაცობრიობის უდიდესი პოლიტიკური განსაცდელის ჟამს, როდესაც ჩვენი პლანეტარული სივრცე მოცულია უჩინარი ძალების მიერ მართული ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ სრულიად გაურკვეველი ორიენტაციით, და ამავდროულად, რაც, არც ისე იოლია, ხმამაღლა სათქმელად, რეალური საშიშროებით, მთელი პლანეტარული სიცოცხლის დასასრულის...

მსოფლიო მეცნიერებამ მეოცე საუკუნე აღიარა განგაშის საუკუნედ, ხოლო 21-ე საუკუნეში კაცობრიობის სახლი, ჩვენი პლანეტა დედამიწა, ფაქტობრივად, ერთდროულად აღმოჩნდა ჩაძირული პოლიტიკური კატასტროფისა და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებაში.

ჩვენი დღევანდელი პლანეტა შეიძლება შევადაროთ მგზავრებით სავსე დაზიანებულ ხომალდს, რომელსაც ჩაძირვა ემუქრება და გადაუდებლად ესაჭიროება დაზიანების მიზეზის აღმოფხვრა და გადარჩენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრძოლა პლანეტაზე მიმდინარეობს არა დედამიწის განკურნებისათვის, არამედ სნეულებათა გამწვავებისაკენ: აშკარად ჩანს ბრძოლა სახელმწიფოებრივი პირველობისათვის და დედამიწის დაპყრობისათვის, როგორც ნივთის, მაშინ, როდესაც დედამიწის განკურნებისათვის ბრძოლა მოითხოვს ყოველგვარი დაპირისპირების აკრძალვას სახელმწიფოებს შორის. ფაქტობრივად, დღეს ბრძოლა მიმდინარეობს ახალი მსოფლიო ომისათვის, ნაცვლად იმისა, რომ არნახული ძალით ხორციელდებოდეს ხალხთა მეგობრობის იდეა და საერთო საკაცობრიო განსაცდელის გარშემო ერთ პლანეტარულ ოჯახად შეკვრა მთელი მსოფლიოსი. სახელმწიფოებრივი პირველობის ვნებას ლამის ეწირება კაცობრიობის სიცოცხლე. მთელი დედამიწის დამღუპველი ეს საერთო განსაცდელიც კი ვერ აერთიანებს ურთიერთის გამანადგურებელი შეიარაღებით გატაცებულ სახელმწიფოთა შინაგან სულისკვეთებებს, რადგან დღევანდელი კრიტერიუმებით ძლიერია ის ქვეყანა, რომელიც ძლიერია სამხედრო შეიარაღებით, ანუ რომელიც ძლიერია სიცოცხლის დამანგრეველი და გამანადგურებელი ძალით. დავიწყებულია ელემენტარული ჭეშმარიტება: იმისათვის, რომ „შენ“ „ხომალდის“ კაპიტანი იყო, „ხომალდის“ თუნდაც სამართლებრივად მფლობელი და დამსახურებული პატრონი მისი მართვის, უნდა გახსოვდეს, რომ პირველ რიგში, ჯერ თვითონ ხომალდი უნდა არსებობდეს, ჯერ თვითონ ხომალდის არსებობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი იმისათვის, რომ შენ „ხომალდის“კაპიტანი იყო! ამიტომ, და საერთოდ ყველა თვალსაზრისით, ჩვენ ვფიქრობთ, რომ მსოფლიო პოლიტიკის უმთავრესი და ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა დღეს უნდა იყოს ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროების მოხსნა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ვფიქრობთ, უნდა შეიმუშაოს აღნიშნული მიზანდასახულების მკვეთრი ამოქმედებისათვის გარკვეული ახალი კანონმდებლობა პლანეტაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროებისათვის. და, საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ არასდროს ისე არ სჭირდებოდა კაცობრიობას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეს პ ლ ა ნ ე ტ ა რ უ ლ ი მ ა რ თ ვ ი ს მ ე ქ ა ნ ი ზ მ ი, რ ო გ ო რ ც სჭირდება დღეს, და სჭირდება ახალ სიმაღლეზე ასვლით! ამაზე დღეს უნდა იზრუნოს მთელმა კაცობრიობამ, გაეროს წევრმა ყველა ქვეყანამ, ჩვენი პატარა ქვეყნის, საქართველოს ჩათვლით, იზრუნოს გადაუდებლად მისი საკაცობრიო მნიშვნელობის ამაღლებისა და საკაცობრიო მნიშვნელობის საკადრო პოლიტიკის უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე, სწორედ გაერომ უნდა შეიმუშაოს პატარა ერების დამოუკიდებელი და თვითმყოფადი განვითარების დაცვის ახალი სამართლებრივი მექანიზმი და უნდა იყოს გარანტი მათი დამოუკიდებლობის უსაფრთხოებისა.

გარდა ამისა, ცნობილია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაფუძნების დროს მსოფლიოს დამსახურებული სწავლულები აყენებდნენ საკითხს, რათა გაეროსთან შექმნილიყო საერთაშორისო მასშტაბის ინტელექტუალური პოტენციალის მფლობელი ინსტიტუტი, რომელშიც პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტამდე იმავე პრობლემების აკადემიურ-მეცნიერული შესწავლა განხორციელდებოდა. რამდენად მოწესრიგებულია დღეს ეს საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში?!

თავს ნებას მივცემ, მხოლოდ დიდი მოკრძალებით და მხარდაჭერით მოვიხსენიო თქვენი წინამორბედი, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი, ბატონი ბ ა რ ა კ ო ბ ა მ ა, რომელიც თავისი პირველი ინაუგურაციის დასრულებისთანავე ამერიკის მეცნიერებს შეხვდა და ამ შეხვედრის სიტყვაში, „ზ ე ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ებ რ ი ო ბ ი ს“ სრულიად ახალი დეფინიცია შესთავაზა მსოფლიოს: ზესახელმწიფოებრიობის სტატუსს დაიმსახურებს ის ქვეყანა, რომელიც მიაგნებსო გზას პლანეტის, ანუ კაცობრიობის გადარჩენისას ეკოლოგიური საფრთხისაგან. ტრაგედია ის არის, რომ ბატონმა პრეზიდენტმა ეს დეფინიცია მსოფლიოს შესთავაზა უკვე იმ დროს, როცა პლანეტარული პოლიტიკის სადავეები ხელთ უპყრია მსოფლიოსთვის ერთგვარ გაურკვეველ ძალას, რომელსაც არ აწუხებს კაცობრიობის გადარჩენის პრობლემა, ხოლო ზენიტი ამ ტრაგიზმისა იმაშია, რომ ამ ძალას მსოფლიო პოლიტიკის სადავეები ხელთ უპყრია ამერიკის შეერთებული შტატების მორჩილი ზესახელმწიფოებრივი თანადგომით.

დღეს უკვე მსოფლიო ისტორიის ამ დღევანდელი ტრაგიკული სურათის წინასწარმეტყველებად აღიქმება უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მეცნიერის, ა ლ ბ ე რ ტ ა ი ნ შ ტ ა ი ნ ი ს ცხოვრებიდან, რომელსაც იგი თავად ჰყვება:

1949 წელია. მეორე მსოფლიო ომი სულ რაღაც ოთხიოდე წლის დამთავრებულია და მსოფლიოს ამ უდიდესმა სწავლულმა და მილიტარისტული ენერგიების ლაბირინთებში ჩახედულმა პროფესიონალმა მიმდინარე პროცესებიდან კარზე მომდგარი მესამე მსოფლიო ომის ძალზე შემაშფოთებელი საშიშროება იგრძნო. თავზარდაცემულის სასოწარკვეთით შესჩივლა მოსაუბრეს: მესამე მსოფლიო ომი დამთავრდება მხოლოდ მთელი კაცობრიობის განადგურებითო. ალბერტ აინშტაინი კიდევ უფრო გააოგნა მოსაუბრისაგან მიღებულმა რეაგირებამ მის თავზარდაცემულ განწყობაზე: – კი მაგრამ, თქვენ რატომ გაწუხებთო კაცობრიობის განადგურება?! და ალბერტ აინშტაინი შეეცადა, აეხსნა და გაეანალიზებინა მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მორალური განწყობა. მე ვფიქრობ, ფსიქოლოგიურისა და მორალურის ურთიერთმიმართების ამ აინშტაინისეული ახსნით, ანუ თავისი მოსაუბრის ფსიქოლოგიური მდგომარეობის ანალიტიკური გაცნობიერებით, როდესაც ალბერტ აინშტაინმა მოსაუბრის სიტყვებს „შ ი ნ ა გ ა ნ წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა დ ა კ ა რ გ უ ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ს განცხადება“ უწოდა, კაცობრიობას დაუტოვა, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ შეუფასებელი, ახალი დიდი თეორია – „კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობის“ თეორია. კაცობრიობის სიცოცხლის მიმართ გულგრილობა, როგორც დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის შინაგანი რაობის წარმომსახველი ფსიქოლოგიურ-მორალური რეალობა და მისგან გამომდინარე ავადმყოფური იდეოლოგია და პოლიტიკა, ალბერტ აინშტაინისეული ანალიტიკის შუქზე, ეს იქნება შინაგან-წონასწორობადარღვეული მსოფლიოს, ანუ მორალურად დაავადებული კაცობრიობის ამ შინაგანი მდგომარეობის ამსახველი იდეოლოგია. რა შეიძლება ვუწოდოთ კაცობრიობის სიცოცხლისადმი გულგრილობას, როგორც კაცობრიული ცნობიერების დაავადებას, ქრისტიანული ეთიკური პრინციპების, კერძოდ, ქრისტიანობის უმთავრესი მცნებების – უფლისა და მოყვასის სიყვარულის – შუქზე?! ვფიქრობ, ქრისტიანული მოძღვრების გათვალისწინებით, ეს იქნება გამოვლინება ჩვენი დღევანდელი კაცობრიული რეალობის წარმომადგენლის, კაცთმოძულეობამდე მისულის, მოყვასის სიყვარულდაკარგული ადამიანის ცნობიერებისა. ალბერტ აინშტაინის მოსაუბრე, რომლის ვინაობაც დიდმა მეცნიერმა არ გაგვიმხილა, დიდი ალბათობით, დღეს გახლავთ სწორედ ეს ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ პოლიტიკურ-იდეოლოგიური სადავეების მპყრობელი მსოფლიო ძალა. სწორედ ამ ძალას არ აწუხებს საშიშროება კაცობრიობის განადგურებისა. მსოფლიოს ამ „ახალ წესრიგად“ მოწოდებულ მსოფლიო უწესრიგობაში, კაცობრიობისათვის გაურკვეველი ვინაობის მქონე ძალების მიერ, როგორც ვხედავთ, ჩათრეულნი აღმოჩნდნენ როგორც დიდი სახელმწიფოები, ასევე პატარა და უჩინარი სახელმწიფოებიც, უჩინარნი თავისი პოლიტიკური და მილიტარისტული მნიშვნელობებით. ერთ-ერთი ასეთი უჩინარი მნიშვნელობის სახელმწიფოა დღეს ჩემი ქვეყნის, საქართველოს ინდივიდუალური პოლიტიკური რეალობა... პოლიტიკური ქარიშხლები, რომლებსაც დიდი, ანუ ზესახელმწიფოებრივი ძალები ქმნიან თავიანთი მძლავრი დინებით, თან იყოლიებენ პატარა სახელმწიფოების ინდივიდუალურ რეალობებს.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში დასტუმრებულმა ცნობილმა ამერიკელმა პროფესორმა რ ი ჩ ა რ დ პ ა ი პ ს მ ა ასეთი გულწრფელი და ძალზედ მნიშვნელოვანი სიტყვა დაგვიტოვა: საქართველო ჩაება ისეთ ურთულეს პოლიტიკურ პროცესებში, საიდანაც, შესაძლოა, იგი ყოველთვის ვერ გამოვიდეს გამარჯვებულიო. მაღლობა მას ამ გულწრფელი სიტყვისათვის!

სწორედ ამგვარ საბედისწერო განცდაში ჩავარდნილი ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზოგადოებრიობა მწყურვალე ინტერესით ადევნებდა თვალს თქვენი, აშშ-ების საპრეზიდენტო არჩევნების მთელ დინამიკას. თქვენი საინაუგურაციო პირველი სიტყვიდან უნდა გაცხადებულიყო ჩვენთვისაც და მთელი მსოფლიოსათვისაც თქვენი, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის, ახალი საპრეზიდენტო მრწამსი, ხოლო ჩვენ, ქართველ ხალხს, რომელსაც დღეს არაფერი გვეკითხება საკუთარ ქვეყანაში, წარმოიდგინეთ, როგორღაც მაინც უნდა გაგვერკვია ჩვენი ქვეყნის თქვენი ქვეყნისადმი დამოკიდებულების ხარისხი. მით უმეტეს, რომ თქვენი ეს ზესახელმწიფოებრივი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩვენი პატარა, ხუთმილიონიანი ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე, ანუ მსოფლიო პოლიტიკის თეატრალურ ამბიონზე მოიხსენიება, როგორც ჩვენი პ ა რ ტ ნ ი ო რ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო. მომიტევეთ, მაგრამ ეს დიდი პატივი ჩვენი, ანუ პატივი ამერიკის შეერთებული შტატების ბუტაფორიული სტრატეგიული პარტნიორობისა ე.წ. „დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოს“ მიმართ უფრო ბიბლიაში აღწერილი ერთი უბრალო პერსონაჟის – ნაბოთეს მიპატიჟებას მიჰგავს მეფე აქაბის სამეფო ნადიმზე, მიპატიჟებას მარტო იმიტომ, რომ მეფე აქაბს ნაბოთეს ვენახი სათავისოდ მოსწონს... მაგრამ თქვენი პიროვნება მანიჭებს ამ ღიმილნარევი პირდაპიროპის უფლებას, დარწმუნებულს იმაში, რომ თქვენ შესანიშნავად იცით: საქართველო დღეს ორმაგი ოკუპაციის უღელქვეშ იმყოფება – ტერიტორიულის – რუსეთის მხრიდან, ისიც შეთავაზებულის ჩვენივე ქვეყნის დამპყრობლების მხრიდან, და სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მმართველობითი ოკუპაციის – ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან... ჩვენ, ქართველი ხალხი, ვართ მგზავრები, ჩამსხდარნი სახელმწიფო მანქანაში, რომლის მძღოლსაც არ აინტერესებს, სად ან რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს წასვლა, და რა მიმართულებით სურთ მის მგზავრებს, რომ მანქანა მიდიოდეს... ამ მანქანას საკუთარი მიმართულება აქვს, რომელიც ჩვენ არ გვეკითხება... დამეთანხმებით, ალბათ: პირველი ფორმა ოკუპაციისა გაცხადებული, ისტორიულად ცნობილი ფორმაა... მეორე ფორმა – ანტიქრისტეს მოსვლის სტრატეგიას ფლობს. ანტიქრისტე მოდის მხოლოდ შენიღბული და, ამასთან, შენიღბული მხოლოდ ქრისტეს ნიღბით... თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახელით შენიღბული; ამჟამად ჩვენი სახელმწიფოს დამპყრობელია ამერიკის შეერთებული შტატები...მაგრამ ფაქტები, როგორც ერთი დიდი მეცნიერი ბრძანებს, ზოგჯერ ამახინჯებენ ჭეშმარიტებას...

ამგვარად, ის დიდი პოლიტიკური ტემპერამენტი, რომლითაც თქვენ ამერიკელი ხალხის სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვეთ, დღეს შესულია სრულიად ახალ ფაზაში: ამერიკელი ხალხის არჩევანისა და გადაწყვეტილების სისწორე უნდა დაადასტურონ უკვე მსოფლიოს ხალხებმა, და მათ შორის პატარა ხალხებმაც, თვით ჩვენმა პატარამ და დაპყრობილმა ქვეყანამაც... ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიპატარავეც და სიდიადეც ხალხებისა თუ ერების სხვადასხვა დროში, სხვადასხვა კრიტერიუმით იზომება.

როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ბრძენკაცმა, დიდი ქურუმი ქალის – დიოტიმას ნაწრთობმა ბერძენმა ფილოსოფოსმა სოკრატემ პლატონის დიალოგების მთავარმა გმირმა და ევროპული ფილოსოფიის ფუძემდებელმა, ამასთან, სახელმწიფოს ევროპული იდეალური მოდელის პირველშემოქმედმა, მოსაუბრეს კითხვა დაუსვა: „ვინ არის დღეს ყველაზე ძლიერი?“ და მოსაუბრემ უპასუხა: „დღეს ყველაზე ძლიერია სპარსეთის მეფე“, სოკრატემ კითხვა შეუბრუნა და უთხრა: „– არის კი ის (ე.ი. სპარსეთის მეფე) ყველაზე ძლიერი ეთიკურად?!“

ჩვენი პატარა ქვეყნის, საქართველოს დღევანდელი ეკლესიის საჭეთმპყრობელმა საპატრიარქო ტახტზე ჯერ კიდევ ახლად მობრძანებულმა გვითხრა: „ერი შეიძლება პოლიტიკურად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა; ერი შეიძლება ტერიტორიულრად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა; ერი შეიძლება სამხედრო შეიარაღებით იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა; ერი შეიძლება დემოგრაფიულად იყოს ძლიერი, მაგრამ ეს არ არის ძლიერება ერისა, ერი შეიძლება ეკონომიკურად და ფინანსურად იყოს ძლიერი, მაგრამ არც ეს არის ძლიერება ერისა; ჭეშმარიტი ძლიერება ერისა მის სულიერ ძლიერებაშია!“ ქართველმა ხალხმა, ამ მრწამსის ირგვლივ შემოკრებილმა, დაიბრუნა თავისი ქრისტიანულ-ეკლესიური წესი ცხოვრებისა... და აღმოჩნდა, რომ, როდესაც ჩვენ, ისტორიულად „მესიის მახვილად“ წოდებული ქვეყანა, ჯერ კიდევ ათეისტური რეჟიმის სახელმწიფოებრივ ყოფაში ქრისტიანობას ვიბრუნებდით, თქვენი ქვეყანა ქრისტიანობის დაკნინების ტალღაზე იყო უკვე გადაწყობილი... როგორ და ვის მიერ, ეს ცალკე საკითხია...

▶▶ დასასრული. 30 — 783

▶▶ დასაწყისი მე — 6 გვ

მაგრამ ეს ქრისტიანობის დაკნინების ტალღაზე გადაწყობილი ქვეყანა, დღეს უკვე ფაქტია, რომ ისტორიის დინებით ჩვენი ქვეყნისაკენ და ჩვენი ქრისტიანული ეკლესიისაკენ მოემართებოდა...

90-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი, ავტორი გახმაურებული წიგნისა: „დასავლეთის სიკვდილი", ბ-ნი პატრიკ ბიუკენენი ამერიკის შეერთებულ შტატებს აგვიწერს, როგორც მსხვერპლს მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გატარებული ე. წ. „კულტურული რევოლუციისა", რომლის შემოქმედნიც მისთვის და ე. ი. ამერიკელი ხალხისათვისაც უჩინარი ძალები არიან. ამ ე.წ. კულტურულმა რევოლუციამ მოახდინაო ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ქრისტიანული ქვეყნის დექრისტიანიზაცია, ანუ არაქრისტიანულ ქვეყნად გარდასახვა და გადაისროლა იგი „ეთიკურ კანალიზაციაში" (ბ. ბიუკენენი). ასეთი მძიმე შეფასებით მოიხსენიებს ბ-ნი პატრიკ ბიუკენენი უჩინარი ძალების მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებულ ე.წ. კულტურულ რევოლუციას, რომელიც შემდგომ მთელ საქრისტიანო მსოფლიოსაც და ჩვენც, ქრისტიანობის აღმავალ გზაზე ხელახლა შემდგარ ქართველ ხალხსაც მოგვევლინება უკვე, როგორც „მსოფლიოს ახალი წესრიგის" იდეოლოგია და თავს დაატყდება თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოქცეული მთელი თანამედროვე კაცობრიობის მორალურ ცნობიერებას. სამაგიეროდ, მოხდება გაცხადებაც იმისა, რომ უჩინარი ავტორი ამერიკის შეერთებული შტატების ე.წ. კულტურული რევოლუციისა და უჩინარი, ანუ „იატაკქვეშეთში" დაბინავებული ავტორი ე.წ. მსოფლიოს ახალი წესრიგისა წარმოადგენს ერთსა და იმავე ძალას და, თუ „კულტურული რევოლუცია" ამერიკის დექრისტიანიზაციისაკენ იყო მიმართული, „მსოფლიოს ახალი წესრიგით" საქმე გვაქვს მსოფლიოს დექრისტიანიზაციის ამოცანასთან, ანუ კაცობრიულ ცხოვრებასა და ცნობიერებაში ქრისტიანობის ამოშლის ამოცანასთან და მიზანდასახულებასთან. ცხადია, არავითარ შემთხვევითობას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის გასანადგურებლად სწორედ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივ წიაღში აღმოცენდება, ოფიციალურად რეგისტრირებული ფორმით, უკვე ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს" სახელწოდებით, და აღმოცენდება ისტორიული დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების ქრისტიანული ეკლესიის წარმომადგენელი მოძღვრები თქვენს წინამორბედს, ამერიკის მშვიდობისმოყვარე პრეზიდენტს, ბატონ ბარაკ ობამას შეჰბედავენ შემრისხავ საყვედურს: „ამერიკა შენ მიგყავს ანტიქრისტეს გზით". და საოცარი და დაუჯერებელი რამ ხდება... ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც „თავისუფლების ქვეყანა" გვევლინება „თავისუფლების" ახალი და წარმოუდგენელი გაგების ქვეყნად: ქვეყნად, რომლის კულტურულმა რევოლუციამ, რამაც საკუთარი ქვეყნის დექრისტიანიზაცია მოგვცა შედეგად, გვევლინება მსოფლიო ბრალდებულად. ბრალდების შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყანა, თავისსავე წიაღში შობს ტერორისტულ ორგანიზაციას, ე. წ. ისლამურ სახელმწიფოს და გზას უხსნის მას პოლიტიკური „მოღვაწეობისათვის". ეს „ისლამური სახელმწიფო" მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად თავის „სახელმწიფო მოღვაწეობას" იწყებს ადამიანების თავების წაჭრის დემონსტრაციით, სრულიად დაუფარავად და გაცხადებულად, ადამიანების თავების წაჭრით მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან... საიდან მოდის ეს გაშმაგებული წყურვილი ქრისტეს ხელახალი ჯვარცმისა, ანუ შურისძიებისა ქრისტეს მორწმუნე მთელ საქრისტიანო მსოფლიოზე? საიდან მოდის ეს საზღვარდაუდები და გარეშემოუწერელი, ე.წ. ამერიკული და განუსაზღვრელი წყურვილი თავისუფლებისა, გარდაისახოს უფლებად საქრისტიანო მსოფლიოს ჯვარცმისად და განადგურებისად, და დაიწყოს ადამიანების თავების წაჭრის ფორმით, მარტო იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები არიან?! და როგორ ხდება, რომ მთავარი ბრალეული ამგვარი „ხალიფატის" დაფუძნებაში, დღესაც არის ამერიკის შეერთებული შტატები? ნუთუ ისრაელმა შეძლო და ორი ათასეული წლით გულის სიღრმეში ნატარები წადილი ქრისტიანობაზე თავისი შურისძიების აღსრულებისა, კონსპირაციულად მოახვია თავს ამ უდიდეს ზესახელმწიფოს და, როგორც თავისუფლების მებაირახტრე ქვეყანას, თავისუფლების სახელით გამოსძალა უფლება ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს" ოფიციალური არსებობისა?! ნუთუ თავისუფლების იდეის ამხელა გაყალბებით შესძლო ანტიქრისტეს ძალამ, თავს მოეხვია და გვერდში დაეყენებინა ის ერთ სახელმწიფოდ შეკრული მსოფლიო ხალხების ქვეყანა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ჰქვია? რა ჰქვია თავისი ნამდვილი სახელით მსოფლიო ხალხების იმ ძალას, რომელიც დაიძრა საქრისტიანო მსოფლიოს ჯვარზე გასაკრავად?! პირველ რიგში კი, უძველესი ქრისტიანული ქვეყნების დასანგრევად და ამოსაძირკვად?! ქალდეველებისა, ანუ ერაყის, და არამელებისა, ანუ სირიის... იგივ ძველი არამის...

1975 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისადგურებს მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ერთგვარად მოულოდნელი მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომლითაც ხმამაღალი, მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გასაგონი შეფასება ეძლევა „სიონიზმს" – ამერიკის შეერთებულ შტატებში, მე-19-ე საუკუნის დასასრულს დაფუძნებულ ებრაულ-სიონისტურ საერთაშორისო მოძრაობას, რომელსაც ამ დროისათვის, 1975 წლისათვის, ფაქტობრივად, ძირითადად მაინც, უკვე განხორციელებული აქვს თავისი მიზანი: მიზანი მსოფლიოში გაფანტული ებრაელობის დაბრუნებისა ე.წ. ისტორიულ სამშობლოში, დღევანდელ ისრაელში. „სიონიზმის" ეს გაეროსეული შეფასება გამოიხატება ოფიციალური ისტორიული რეზოლუციით, რომლის ნომერია: 3379. ამ რეზოლუციით საერთაშორისო „სიონიზმი" განიმარტება, როგორც კაცთმოძულეობითი მოძრაობა, ანუ პოლიტიკაში მიღებული ენციკლოპედიური, აკადემიურ-მეცნიერული ტერმინოლოგიით „რასიზმი". მართალია, ეს რეზოლუცია შემდგომში გაეროს გარკვეული ძალისხმევით გაუქმებულ იქნა, მაგრამ მის არსებობას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ისრაელის მოქალაქის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, იციკ დავიდის სიტყვებით რომ წარმოვაჩინოთ ეს მოვლენა, „იმ დღეს, რა დღესაც ისრაელის რადიომ გადმოსცა გაეროს ამ დადგენილების ცნობა, სამუდამოდ ჩაესვენა მზე ურთიერთობისა ისრაელსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის"... შემთხვევითი არ არის, რომ იმავე, 1975 წელს, იქმნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეტოქე საერთაშორისო მოძრაობა ადამიანისა და ხალხთა ინდივიდუალური ერთობების უფლებათა და ღირსებათა დაცვისა ახალი საერთაშორისო დეკლარაციის ჩამოსაყალიბებლად და გასაცხადებლად, რომლის საერთაშორისო ხელმოწერათა განხორციელებაც შესდგება ქალაქ ჰელსინკში. ჰელსინკის დეკლარაცია მიმართული აღმოჩნდება პირდაპირ რუსეთის იმპერიის, ანუ უდიდესი ქრისტიანული ქვეყნის, ისტორიის ამ ეტაპზე საბჭოთა კავშირის სახით არსებული უდიდესი ზესახელმწიფოს დასაშლელად, რასაც დიდი სიონისტის, ჯორჯ სოროსის ენაზე დაერქმევა განვითარება „საბჭოთა კავშირისა".

– მართლმადიდებლობას არა აქვს გარკვეული, რომელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ წყობას უნდა დაუჭიროსო მხარი,- მიმართა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ, თბილისში სტუმრად მყოფმა და თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში მწირველმა, საქართველოს ხელისუფლებაში ჯორჯ სოროსისა და მისი თანამზრახველების შემწეობით მეორედ მოსულ ედუარდ შევარდნაძეს. მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის სტატუსით შემოსილს. უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი თავისი ეკონომიკური სისტემით, ანუ თავისი სოციალიზმით უფრო ახლო იყო ქრისტიანობასთან, ვინემ ამერიკის შეერთებული შტატები თავისი კაპიტალიზმით, და რუსეთის იმპერიას სჭირდებოდა მხოლოდ შეცვლა დიდი ოქტომბრის მასონური რევოლუციის მიერ თავს მოხვეული ათეისტური იდეოლოგიისა, რაშიც, ჩვენი აზრით, მსოფლიოს სიონისტური მოძრაობისათვის ყველაზე მეტად იყო ჩაბუდებული საშიშროება საბჭოთა კავშირის თვითგანვითარებისა.... და... 1975 წლის „ჰელსინკის დეკლარაციით" შთაგონებული მსოფლიოს ახალი წესრიგით, რომელმაც საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხებთან ერთად ჩვენი, ქართული მონოლითური ეროვნული მოძრაობისა, ამოხეთქვასაც დაუდო სათავე, მოძრაობის, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობის სრულყოფას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გზით ისახავდა მიზნად, უკვე 90-იან წლებში, მიაღწია მიზანს, და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ერთად ჩვენ, ქართველმა ხალხმაც, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ რესპუბლიკად ჩართულმა ქვეყანამ, ჩვენც მოვიპოვეთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლით... მაგრამ „ჰელსინკის დეკლარაცია", რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად ხალხების ინდივიდუალური ერთობების, ანუ ერების უფლებათა, ღირსებათა და თავისებურებათა დაცვაც იყო წარმოდგენილი, ელვისებური სისწრაფით იქნა ჩანაცვლებული ბატონი ჯორჯ სოროსის სიონისტური „სამოქალაქო საზოგადოების" ვერაგული თეორიით. უფრო ზუსტად,„ჰელსინკის დეკლარაცია" საბჭოთა კავშირიდან ჩვენი გამოყოფის შემდეგ ჩანაცვლებულ იქნა კიდევ ახალი „დეკლარაციით", რომელიც „ერების"„სამოქალაქო საზოგადოებებად" გარდაქმნის აპოლოგიით მსოფლიოს ახალი წესრიგის იდეოლოგიად აკანონებდა ერების თვითლიკვიდაციასა და უეროვნებო მსოფლიოს შექმნას. ეს ახალი, ანუ „ერების" „სამოქალაქო საზოგადოებებად", იგივ „მოქალაქეთა კავშირებად" გარდაქმნის ჯორჯ სოროსისეული დეკლარაცია-თეორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეოლოგიად ჩაადუღაბა შემდგომ მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთ არქიტექტორად აღიარებულმა ედუარდ შევარდნაძემ, ბატონი ჯორჯ სოროსის განმარტებით, დემოკრატიაზედაც მაღლა იდგა. ეს სოროსისეული ხაზგასმა „სამოქალაქო საზოგადოების" „დემოკრატიაზეც" მაღლა დგომისა, რაც მსოფლიოს ახალი წესრიგის პრიორიტეტულ იდეად სახავდა „სამოქალაქო საზოგადოებას", თავისი ქვეტექსტით, უსათუოდ ნიშნავდა და ნიშნავს ამერიკის შეერთებულ შტატებზე მაღლა დგომასაც სიონიზმისას, ანუ მაღლა დგომასაც დემოკრატიის სიმბოლოდ აღიარებულ ქვეყანაზე. ამრიგად, 21-ე საუკუნის პირველივე ათეულებში მივიღეთ რეალობა, რომლითაც ამერიკის შეერთებული შტატების ერთსახელმწიფოებრიობაში თავმოყრილი მსოფლიოს ხალხები, რომლებმაც გაამერიკელებით დაკარგეს თავიანთი გენეტიკური ეროვნულობა, მიილტვიან, ეროვნულობა მოიპოვონ ახალი ნიშნით. ეს მათი ადამიანური შინაგანი მოთხოვნილებაა. მივიღეთ მსოფლიო რეალობა, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის შედეგად ებრაელმა ერმა დაიბრუნა ჯერ თავისი, ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგული სახელმწიფოებრიობა, ხოლო შემდგომ ამ ორი ათასი წლის განმავლობაში დაკარგულ და აღდგენილ სახელმწიფოებრიობაში დაიბრუნა თავისი „ტიტულოვანი," ძველაღთქმისეული „რჩეულობის" სტატუსი საპარლამენტო საკანონმდებლო წესით. პოლიტიკურად დაძაბულ ქართულ ცნობიერებას შეუმჩნეველი არ დარჩენია თვით დიდი რუსეთის დღევანდელი პრეზიდენტის, ბატონ ვლადიმირ პუტინის გამოსვლა ვალდაის სახელგანთქმულ სადისკუსიო კლუბში 2013 წლის 19 სექტემბერს და მისი ღრმად ეროვნული განცხადება, რომ რუსი ხალხი ეროვნული თვითგამორკვევის გარეშე შორს ვერ წავა! და ყველაფერ ამის ფონზე ჩვენ, პატარა, სადღეისო ათვლით, უკვე საკუთარ მიწაწყალზე მყოფი და „მოწყვლად მოსახლეობად" შეფასებული სამ თუ ოთხმილიონიანი ქართველი ერი მსოფლიოს ახალი წესრიგით მოსჯილი სახელმწიფო იდეოლოგიით, ალენ დალესის სტრატეგიებით აღჭურვილნი, ჯორჯ სოროსების „სამოქალაქო საზოგადოების" თეორიებით დამოძღვრილნი და თვალებში ნაცარშეყრილნი მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი ქართველი არქიტექტორის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური გაერთიანების: „მოქალაქეთა კავშირის" იდეოლოგიური წინამძღოლობითა და დროშით, „სამოქალაქო საზოგადოებად" გარდასახვის გზით მივიწევთ წინ ჩვენი ეროვნული თვითლიკვიდაციისაკენ. ეს გახლავთ დღეს ის ავანტიურისტული მსოფლიო წესრიგი, რომელიც მიმართულია პატარა ერების დაპყრობისა და გადაყლაპვისაკენ. ეს გახლავთ ბატონი ჯორჯ სოროსის, „დიდი" ქველმოქმედებისა და „დიდი" თეორიული აზროვნების წყალობით, ანუ მასონურ-სიონისტური მოძრაობის თეორიული და პრაქტიკული სტრატეგიების წყალობით დამკვიდრებული რეალობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის განდევნის შემდეგ ბატონ ედუარდ შევარდნაძესთან ერთად შემოიჭრა და დაინერგა საქართველოს სახელმწიფოებრივ მმართველობაში. და აღმოჩნდა, რომ ჩვენი ხალხის მონოლითური ეროვნული მოძრაობის შედეგად საქართველოში მივიღეთ არა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, არა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განვითარება და ახალ ხარისხში აყვანა, არამედ ჩვენი ეროვნული არსებობისა და ვინაობის ნგრევა ყველა მიმართულებით: პირველ რიგში კი, ჩვენი დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრივი მანქანის საჭეთმპყრობელობის მიმართულებით, ანუ სახელმწიფო მანქანის მართვის. ჩვენი მონოლითური ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „დამოუკიდებელი და თავისუფალი", ამასთან სრულიად დაუცველი სახელმწიფო მანქანა ხელთ იგდო მსოფლიოში ცნობილი მასონურ-სიონისტური კლუბის, ბილდერბერგის კლუბის წარმომადგენელმა, საბჭოთა სივრცეში ფუნქციონირებადი „ბილდერბერგის" ანალოგი სიონისტური ლოჟის – „მაგისტერიუმის" ერთ-ერთ პატრიარქად ცნობილმა ედუარდ შევარდნაძემ, ყოფილმა საქართველოს ცეკას მდივანმა და ყოფილმა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მოვლენილმა მსოფლიოს ახალი წესრიგის არქიტექტორად და ამ წესრიგის დამამყარებლად მშობლიურ ქვეყანაში. დამოუკიდებლობამოპოვებულ და ამ სრულიად დაუცველად დარჩენილ დამოუკიდებელ საქართველოში, მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ძალების მხარდაჭერით ედუარდ შევარდნაძე შემოუძღვა მსოფლიოს მასონურ-სიონისტურ მოძრაობას „ოკეანის გადაღმა, ვაშინგტონში დაგეგმილი" სახელმწიფო გადატრიალების საერთაშორისო სტატუსის მქონე სპექტაკლის, მოწყობის გზით...

ქართველი ხალხის გულამოხეთქილი წყურვილით, მერაბ კოსტავას მოწამებრივი თავგანწირვითა და ზვიად გამსახურდიას მებრძოლი სულით მოპოვებული დამოუკიდებელი საქართველოდან ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერი მსოფლიო ძალების მიერ მოწყობილი სახელმწიფო გადატრიალების, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი სახელისუფლებო გუნდის გაძევებისა და ედუარდ შევარდნაძის შემოყვანის გზით მსოფლიოს მასონურმა ძალებმა განახორციელეს საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის, ანუ ქართველი ერის ინტერესების გაძევება საქართველოდან და საქართველოს სახელმწიფო ხომალდის მიმართულების შეცვლა 180 გრადუსით, რითაც მათ, ფაქტობრივად, შეძლეს, დღის წესრიგიდან საერთოდ მოეხსნათ საქართველოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის სახელმწიფო ორიენტაციაც. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ ეს ხდება შევარდნაძეზე, როგორც გამოცდილ პოლიტიკოსზე მინდობილი ქართული საზოგადოებრიობის ცნობიერებაზე გადასხლეტითა და გადაცურებით, სრულიად გაუცნობიერებლად იმისა თუ რაზე თანხმდება ქართველი ხალხი დიდი გამოცდილების პოლიტიკოსს, ამასთან მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთ არქიტექტორად მოვლენილს. ეს ხდება სრულიად გაუცნობიერებლად იმისა, თუ რას ნიშნავს შევარდნაძისეული ქვეტექსტი მისი ახალი პოლიტიკური ცნებისა: „სამოქალაქო საზოგადოების", რომელსაც შევარდნაძის ენაზე სრულიად უწყინარი სახელი – „მოქალაქეთა კავშირი" ჰქვია. მსოფლიოს სიონისტურმა ძალებმა შევარდნაძის პოლიტიკური და დიპლომატიური ხელოვნების გზით, ქართველი ხალხის მიმნდობი ბუნების კარგად ცოდნისა და გაცურების ვირტუოზული უნარით შეძლეს ქართველი ხალხის ემოციურად მონოლითური ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიაში ისეთი ჩანაცვლება, ქართველი „ერის ცნობიერებაში სამოქალაქო საზოგადოების" ცნების ისეთი დამკვიდრება, ანუ ისეთი ტკბილი შეთანხმება ეროვნული თვითლიკვიდაციის პოლიტიკურ იდეოლოგიასთან, რომ 27 წელია, ვერ გაუგია ქართველ ხალხს, რა ხდება მის თავს: ქართველ ხალხს, რომელსაც არც „ჰელსინკის დეკლარაცია" გაუშიფრავს, არც სოროსის „სამოქალაქო საზოგადოების" თეორია, არც პროცესი ჰელსინკის დეკლარაციის ჩანაცვლებისა სოროსის თეორიით, არც ევროკავშირის კონსტიტუცია წაუკითხავს, საითაც დღეს საქართველოს ე.წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფოებრიობის მმართველი ახალი, ანუ მსოფლიოს მასონურ-სიონისტური ხელისუფლება მიაქანებს, სათუთად ნაოცნებარი და ერის გულამოხეთქილი მოძრაობით მოპოვებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასასამარებლად...ქართველმა ხალხმა არ იცის, რა მოხდა მის თავს, როგორ და რა უბედურება დაატყდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ე.წ. „გამოუცდელ" ლიდერთა მოშორებით და მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთ-ერთი არქიტექტორის, „გამოცდილი" პოლიტიკოსის, ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერით! შესწევს დღეს სახელმწიფოებრივი მორალური ძალა და ენერგია ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც ჩვენს ოფიციალურ პოლიტიკურ პარტნიორს, და მეგობარ ზესახელმწიფოს, მხარში დაგვიდგეს ამ მსოფლიო მასშტაბის სამარცხვინო ავანტიურიზმის მხილებაში?!

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ წიწუაშვილი

ბ ე შ ვ ა ს ნ

გამჩენის წყალობით ამ შაბათს წავიკითხავთ კვირის თავს რომელსაც ეწოდება "ბეშალახ", წინა კვირის თავებში "ვაერა" და "ბო" წავიკითხეთ იმათ ცემულობაზე, რომელიც ჰაშემმა მიაყენა ფარაონს და მთელ ეგვიპტეს, წყლის სისხლად გადაქცევა, ბაყაყები, კალიები და ა.შ. რომლის მეშვეობითაც აღიარებინა ჰაშემმა ფარაონს თუ ვინ არის სინამდვილეში ყოვლისშემძლე და ვინ მართავს ამ სამყაროს ნებისმიერ ქმნილებას, თუნდაც ისეთ ქმნილებაზე ,როგორიცაა მკბენარი და ა.შ. მაგრამ სინამდვილეში თორა გვასწავლის რომ ფარაონს და მის ერს არ სჭირდებოდა ცემულობები იმისათვის, რომ გამოეშვა ებრაელები ეგვიპტიდან ხომ შეეძლო ჰაშემს ერთი ცემა ცემულობა მიეყენებინა ძლიერად ,როგორიც იყო მაგალითად პირველშობილების გარდაცვალება და ფარაონი გამოუშვებდა. მაშინ რატომ დასჭირდა ჰაშემს ათი ცემულობა? გვასწავლის თორა რომ ათი იმისათვი სიყო საჭირო რომ ებრაელ ხალხს მაქსიმალურად შეეცნო ჰაშემის ძალა, რომ ის ყოვლის შემძლეა და მართავს ყველა სულიერ ქმნილებას და არამარტო მათ ბუნებასაც, რომ მხოლოდ ჰაშემს შეუძლია როცა საჭირო იქნება დაღამდეს და გათენდეს. მეათე ცემულობის შემდეგ წერია თორაში რომ ფარაონმა გამოაძევა ისრაელის ერი ეგვიპტიდან და ეხმარებოდნენ რომ დაჩქარებით გამოსულიყო, გამოატანე სქონება, პირუტყვი ,საქონელი, ვერცხლი, ოქრო და ა.შ. მაგრამ ეგვიპტიდან გამოსვლა მაგით არ დასრულებულა. თითოეულ ებრაელის გულში უკან დადევნების შიში. სეც მოხდა: იმის შემდეგ რაც სამი დღის სავალის გაიარეს თქვა ფარაონმა და მისმა ერმა რომ შეცდომა დაუშვეს დაედევნენ უკან ეგვიპტეში დასაბრუნებლად, როდესაც დაეწიენენ ებრაელებს და დაინახეს ებრაელებმა, წერია თორაში რომ ებრაელებს შეეშინდათ. მაგრამ რისი შეეშინდათ როდესაც მათთან ჰაშემია? მათ შეეშინდათ იმის რომ ეგვიპტელები იყვნენ გაერთიანებულნი ისე როგორც ერთი ადამიანი ერთი მიზნით, რომ ებრაელი ერი დაებრუნებინათ. ხოლო ებრაელები იყვნენ გაყოფილების ამ ნაწილად. ზღვასთან წინ წასასვლელი და გასაქცევი გზა არ ჰქონდათ ერთმა ნაწილმა თქვა ვილოცოთ ჰაშემთან რომ გადაგვარჩინოს მეორე ნაწილმა თქვა მოდი წინ წავიდეთ ზღვაში თუნდაც დავიღუპოთ და მესამე ნაწილმა თქვა მოდი დავბრუნდეთ ეგვიპტეში და გადავრჩებით, მაგ დროს ეუბნება მოშე რაბეინუ ნუ გეშინიათ რადგან ჰაშემი ეომება ეგვიპტეს თქვენს ნაცვლად და გადაგარჩენთ. უთხრა ჰაშემმა მოშეს რომ ებრაელები წინ წავიდნენ ზღვისკენ და დაიწყო ზღვის გაპობა. როგორც წერია თორაში "და იყო ზღვა ებრაელი ერისთვის გალავნათ მარჯვენა მხრიდან და მარცხენა მხრიდან", იმის შემდეგ როდესაც გადავიდნენ ებრაელები ხმელეთზე დაედევნენ ეგვიპტელები და როდესაც ზღვის შუაგულში იყვნენ ჰაშემმა გაპობილი ზღვა დააბრუნა და ორმოცდაათი დარტყმა მიაყენა ეგვიპტელებს და ჩაახრჩო შიგ, ამ ყველაფრის შემდეგ ებრაელებს მაინც ჰქონდათ იმის შიში, რომ შეიძლება გამოეცურათ ეგვიპტელებს ზღვიდან და მაინც დაებრუნებინათ ებრაელები ეგვიპტეში ან დაეხოცათ ისინი, მაგრამ უებნება ჰაშემი ისრაელის ერს არ გეშინოდეთ, რადგან ეგვიპტელებს თქვენ საბოლოოდ ხედავთ და ისინი ვერანაირ ზიანს ვერ მოგაყენებენ, ამის შემდეგ ჰაშემმა დაანახა ებრაელებს, რომ თვითონ ეგვიპტის ანგელოზიც კი გაანადგურა. ანგელოზის განადგურების შემდეგ სრული რწმენით იწამეს ებრაელებმა ჰაშემის არსებობა

ამ ყველა სასწაულის შემდეგ წერია თორაში, რომ ებრაელებმა გზა განაგრძეს და მათ არ ჰქონდათ დასალევი წყალი. ამ დროს მივიდნენ მდინარესთან რომლის წყალიც მწარე იყო და ვერ შეძლეს სიმწრის გამო წყლის დალევა. სვავენ რაბები შეკითხვას ჰაშემმა ამდენი სასწაული მოავლინა ებრაელი ხალხისთვის ეგვიპტეში და მის გარეთაც და მიიყვანა მდინარესთან რომელის წყალიც მწარეა, ნუთუ, ვერ მისცა ჰაშემმა ებრაელებს ისეთი წყალი რომელიც ვარგისი იქნებოდა დასალევად? გვასწავლიან რაბები რომ ის სასწაულები რაც ჰაშემმა მოავლინა ებრაელი ერისთვის იმისათვის კი არ იყო რომ უბრალოდ მათი განთავისუფლება უნდოდა, არარმედ იმისათვის რომ მომავალში შეესრულებინათ მისი დავალებები და მიცვები. ერთ-ერთი იყო შაბათის დაცვა და შენახვა, შაბათი დღე ეს არის მთელი ებრაელი ერის ფუძე და საყრდენი, იბადება შეკითხვა, რა კავშირშია მდინარე რომლის წყალიც მწარეა შაბათთან და შაბათის დაცვის მიცვა? გარედან რომ შეხედოს ებრაელმა ადამიანმა შაბათის დაცვას რას იტყვის? იმას რომ შაბათს ყველაფერი თითქმის აკრძალულია, დასვენების და დროსტარების ნაცვლად არაფერი არ შეიძლება, მაგრამ თუ შაბათ დღეს სხვა კუთხიდან შეხედავს მიხვდება რომ ეს უძვირფასესი დღეა, ეს ის დღეა როდესაც ოჯახი ერთიანდება და მთელ დღეს ერთად ატარებენ. უზიარებენ ერთიმეორეს სიყვარულ, სსითბოს და კარგ განწყობას იმ დღეებისგან განსხვავებით როდესაც მთელი კვირის მანძილზე ყველა თავის საქმით არის დაკავებული. ამასთან ერთად წერია თორაში რომ ჰაშემმა მისცა ებრაელებს შაბათი და კარგი დღეები (იომ ტოვ) იმისათვის რომ როდესაც არ იმუშავებენ შეძლონ უფრო მეტი დრო გაატარონ სიწმინდეში მეტი დრო გაატარონ სალოცავებში თორა ისწავლონ და მეტი ილოცონ, რადგან შაბათის ლოცვებში კერძოდ სიმღერაში წერია (ლეხადოდი) შემდეგი სიტყვები შაბათთან დაკავშირებით "ქი ჰი მეკორ ჰაბერახა" " რადგან ის არის ყველანაერი კურთხევის წყარო და ფუძე" ანუ ჰაშემი გვპირდება როდესაც ებრაელი შაბათს იცავს მას აკურთხებს ჰაშემი ყველანაირი კურთხევით.

ჩვენ კვირის თავში წავიკითხავთ აგრეთვე მან-ის ფარაშას მან-თან დაკავშირებით რომელსაც ჰაშემი გვაძლევდა ეგვიპტიდან გამოსვლიდან ორმოცი წლის განმავლობაში სანამ ისრაელის მიწაზე ავიდოდით, გვასწავლიან რაბები რომ მანი იყო განსაკუთრებული რამოდენიმე რამით, ერთი იმით რომ ყველა ადამიანს შეეძლო მისი ჭამა და მისი ჭამისას იმის გემო ეძლევოდა რასაც ადამიანი მოისურვებდა. მეორე იყო ის, რომ მანა ძლებდა მხოლოდ ერთ დღეს მეორე დღეს ფუჭდებოდა გარდა პარასკევი დღისა, როდესაც ორმაგს იღებდნენ ებრაელები იმისათვის რომ შაბათის აკრძალვა არ დაერღვიათ და არ მოეკრიფათ. ამიტომ პარასკევს იღებდნენ ორმაგს. ჩვეულებრივ დღეს რატომ ვერ ძლებდა მანა მეორე დღემდე? და ჰაშემი რატომ არ აძლევდა ებრაელებს ერთი კვირის ან ერთი თვის მარაგს ერთად? გვასწავლიან რაბები: ჰაშემმა ეს იმიტომ გააკეთა რომ ესწავლებინა ებრაელი ერისთვის შემდეგი: ყოველი დღისთვის ადამიანი უნდა ლოცულობდეს, უნდა ლოცულობდეს ყველაფერი კარგად იყოს მეორე დღეს. ჰქონდეს ჯანმრთელობა წარმატება მის საქმიანობაში, ჰქონდეს კარგი შემოსავალი და ყველაზე მეტი ილოცოს იმაზე, რომ რასაც ჰაშემი მისცემს მოეხმაროს მას სასიკეთოდ. აქედან ვხედავთ თუ ებრაელი ერის გამოსვლა ეგვიპტიდან არ არის უბრალოდ გამოსვლა, რომ თავისუფლები ვიყოთ, ჩვენი გამოსვლა არის იმ მიზნით, რომ ვემსახუროთ ჰაშემს და დავიცვათ მისი მიცვები და დავალებები. ვისწავლოთ თორა და ვასწავლოთ. ყოველ ებრაელს ჰქონდეს მუდმივი კავშირი ჰაშემთან და ლოცულობდეს მასთან მუდმივად, გაგვაძლიეროს ჰაშემმა და დაგვაახლოვოს მასთან, მოგვიბრძანოს მალე სრული სამუდამო შველა მაშიახთან ერთად დაგვასწროს მრავალ კარგ დღეებს, შაბათებს და მრავალ ტუბიშვატს.

ამენ, შაბათ შალომ.

ამასწინათ ისრაელში აღინიშნა ცნობილი კომპოზიტორის — რუბენ კაჟილოტის დაბადების 70 წლისთავი. გთავაზობთ ფოტორეპორტაჟს საიუბილეო საღამოდან.

ევროკავშირი და ებრაელთა სასაფლაოები

ევროკავშირმა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის სახელმწიფოებში ებრაელთა სასაფლაოების აღწერისათვის 800 ათასი ევრო გამოჰყო.

— ებრაულმა თემებმა ევროპის კულტურის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ებრაული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა ევროპის კულტურული მემკვიდრეობის წინაშე ჩვენი საერთო პასუხისმგებლობის ნაწილია — განაცხადა 10 იანვარს ევროკომისიის კულტურისა და განათლების განყოფილების დირექტორმა მიშელ მანიემ.

იმავე დღეს ESJF წარმომადგენლებმა — სწორედ ეს ორგანიზაცია ზრუნავს ევროპის ებრაელობის სამარხების მოვლა-პატრონობაზე, განაცხადეს, რომ საბერძნეთში,მოლდოვაში, სლოვაკიაში, ლიტვასა და უკრაინაში ათასხუთასამდე ებრაული სასაფლაო იქნება დატანილი რუქაზე. პროექტის წარმომადგენელმა ფილიპ კარმელმა ხაზი გაუსვა იმას, ანტისემიტიზმთან ბრძოლისას ამ პროექტის განხორციელება, რაოდენ მნიშვნელოვანია ევროპის ახალგაზრდობისათვის.

— ხშირ შემთხვევაში, ებრაელთა სასაფლაოები გახლავთ საბუთი იმისათვის, რომ დავადასტუროთ: ევროპის ამათუიმ ქალაქში, ან სოფელში, ებრაელები ცხოვრობდნენ და ჰოლოკოსტმა ისინი გაანადგურა — დასძინა მან.

2015 წელს ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან, ESJF წარმომადგენლებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 120 ებრაული სასაფლაოს მოვლა-შენახვა შესძლეს.

უნიკალური ოპერაცია
ორად გაპობილი თავის აღდგენა



10 წლის იუსეფ ჯარედატი ამხანაგთან, რომელიც მეხუთე სართულზე ცხოვრობს, მეცხრე სართულიდან სათამაშოდ ჩავიდა. ამხანაგი შინ არ დახვდა, იუსეფი უკან გამობრუნდა, ლიფტის ღილაკს თითი დააჭირა, კარი გაიღო და...

იუსეფი მეხუთე სართულიდან ლიფტის გვირაბში ჩავარდა. მეზობელმა სულთმობრძავი ბავშვი ნახევარი საათის შემდეგ აღმოაჩინა. იუსეფი იერუსალიმის საავადმყოფო „ჰადასა ეინ ქერემში“ გააქანეს. თავი და სახე ორად ჰქონდა გაპობილი. აუცილებელი გახლდათ თავის ტვინიდან მომდინარე სითხის დაუყონებლივი შეჩერება — სითხე ტვინის გარსიდან სახეზე ჩამოედინებოდა. თავად ტვინი კი სრულიად გაშიშვლებული გახლდათ და ნაწილი უკვე გახეთქილ თავში გადმოსულიყო.

— დიდი ხანია ასეთი მძიმე ტრამვა არ მინახავს. თავისქალის ქერქი დაფშვნილი იყო. ტვინი რომ ადგილზე დაგვებრუნებინა და ჰერმეტულად დაგვეხურა, თავისქალის ნამსხვრევებს მიკროსკოპით ვაგროვებდით და ვაწყობდით. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ ტვინის სითხის დაღვრა შეგვეჩერებინა, უამისოდ კი მოსალოდნელი იყო ნევროპათოლოგიური დაზიანება, ან გარდაცვალება — ამბობს საავადმყოფოს ნეიროქირურგი სემუელ მოსკოვიჩი.

ოპერაცია შვიდი საათი გრძელდებოდა. მას შემდეგ, რაც თავისქალის აკრეფილი ფრაგმენტები თავ-თავის ადგილას დასვეს და ყველა ქანჩი მოუჭირეს, სითხის დენა, მართლაც, შეწყდა.

ამის მერე უხმეს ექიმ ადირ ქოენს — ყბა-სახის, სპეციალისტს, რომელსაც ორად გაპობილი იუსეფის სახე უნდა მოეყვანა წესრიგში. ექიმი იგონებს:

— როცა ბავშვს დავხედე,იმდენად მძიმე სიტუაცია იყო, გავიფიქრე არა ვგონებ, ამას რაიმე ეშველოს-მეთქი — თავი ისე იყო გახეთქილი, როგორც მიწაზე დავარდნილი საზამთრო, სახეც — შუბლიდან, თითქმის ნიკაპამდე — გაბზარულიყო.

მოტეხილ ხელ-ფეხსა და ბეჭს მას შემდეგ მიხედეს, რაც ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა.

„ებრაელთა ნობელის“ ახალი მფლობელი

გამოცხადდა „ებრაელთა ნობელის“ ახალი მფლობელის ვინაობა — იგი გახლავთ ბრუკლინში, ებრაელთა ოჯახში გაზრდილი ფილანთროპი რობერტ კრაფტი.ეს პრემია მიენიჭება ყოველ წელიწადს ადამიანს, რომელიც გახლავთ „შთამაგონებელი ებრაელთა მომდევნო თაობებისათვის“. კომპანია „New England Patriots“-ის მფლობელმა რობერტ კრაფტმა ებრაული თემების ჯანმრთელობისა და განათლების უზრუნველსაყოფად 100 მილიონი დოლარი შესწირა. ეს პრემია რობერტ კრაფს ივნისში იერუსალიმში საზეიმო ვითარებაში გადაეცემი. პრემიის თანხა ანტისემიტიზმთან ბრძოლისათვის იქნება გამოყენებული.

„ებრაული ნობელის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი სტენ პოლოვეცი ამბობს:

— რობერტ კრაფტი მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი გულუხვი ფილანტროპია.მისი საქველმოქმედო შეწირულებანი ებრაულ ფასეულობათა „თიკუნ ყოლამის“ — სამყაროს გაუმჯობესების იდეას ემსახურება.



მაია და იოსებ ბარდანაშვილი ოჯახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, უაღრესად კეთილშობილი და სათნო, ხალხის, ნათესავების და ჯამაათის მოყვარული, ყველასათვის პატივსაცემი ადამიანის

ბენო (ბენიამინ) ჯანაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ დამწუხრებულ ოჯახს.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ჯამაათის ღირსეული წევრის, ჩვენი გაზეთის მეგობრის

ბ-ნ ბენო (ბენიამინ) ჯანაშვილის

ოჯახს.

ამოს ოზის ხსოვნას

გარდაიცვალა თანამედროვე ისრაელის ლიტერატურის კლასიკოსი ამოს ოზი.

ამოს ოზი (კლაუზნერი) დაიბადა1939წ. იერუსალიმში, რუსეთის იმპერიიდან ემიგრირებულ ინტელიგენტთა ოჯახში. 15 წლისა კიბუცში წავიდა, იყო ისრაელის არმიის ჯარისკაცი — მონაწილეობდა ექვსდღიან და ქიფურის ომებში. ორჯერ დაიჭრა, მაგრამ სამხედრო სამსახურს მაინც განაგრძობდა.

ამოს ოზი უკიდურესად მემარცხენე ორიენტაციისა გახლდათ და კრიჭაში ედგა ისრაელის დღევანდელ — მემარჯვენე ხელისუფლებას. ხასიათდებოდა „საბრალო პალესტინელებისადმი“ დიდი მხარდაჭერით და თავისი შემოქმედებითი ავტორიტეტით გავლენას ახდენდა ისრაელის ინტელიგენციაზე. გახლდათ უნივერსიტეტის პროფესორი, სადაც ასწავლიდა ენასა და ლიტერატურას, მაგრამ მისი მემარცხენეობა არ აისახებოდა სასწავლო პროცესზე. როგორც სპეციალისტები წერენ, მისი ივრითი გახლდათ ბრწყინვალე.

ამოს ოზის რომანები თარგმნილია 38 ენაზე. 1997 წ. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაქმა საპატიო ლეგიონის ორდენით დააჯილდოვა. გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციამ ამოს ოზის რომანი „ჩემი მიხაილი“ მეოცე საუკუნის ასი საუკეთესო ნომანის სიაში შეიტანა. 1991 წლიდან იყო ებრაული ენის აკადემიის ნამდვილი წევრი, მინიჭებული ჰქონდა ბიალიკის პრემია, 1998 წ. მიენიჭა ისრაელის სახელმწიფო პრემია ლიტერატურის დარგში, 2005წ — გოეთეს პრემია, 2013 წ. კაფკას პრემია, გახლდათ ანტვერპენის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, 2009 წელი იყო ნობელის პრემიის ნომინანტი. შარშან რუსეთში ბოლო რომანისათვის „იუდა“ მიენიჭა „იასნაია პოლიანას“ პრემია.

სამწუხაროდ, ქართულად არ არის გამოცემული არცერთი მისი ნაწარმოები. 2000 წელს, როცა ისრაელში ივრითულ ენაზე გამოიცა გურამ ბათიაშვილის რომანი „მეათე კაცი,“ ამოს ოზმა მწერალს ბარათი გამოუგზავნა.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003